ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

„ახალი თაობა"+ „ტირანები"

10 ლარი

30 ნოემბრიდან




3 — 4 დეკემბერი, 2011 №287 (5667) ფასი: 30 თეთრი



## „მაესტროს" არსებობა სააკაშვილის ნებაა

გვ.3

ეროსი კიწმარიშვილი ოქრუაშვილისგან მითითებებს იღებდა?!

## რატომ დააკავეს შალვა ნათელაშვილი აეროპორტში

გვ.4



## სააკაშვილის შეწყალება ებრაელ ბიზნესმენებს 70 მილიონი დაუჯდათ

გვ.6

რატომ გაათავისუფლეს რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი





## ცხინვალში კარვების ქალაქი გაშალეს

გვ.2

კოკოითი ოპოზიციონერების დაპატიმრებას არ აპირებს



## ბიძინა ივანიშვილი: „ბავშვებს უფასო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას მივცემთ"

ივანიშვილმა „ფეისბუქში" დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო

გვ.5



## მამუკა გიორგაძე: „ივანიშვილმა პატარკაციშვილის შეცდომები არ უნდა დაუშვას"

გვ.7

ვიბრძოლოთ ობიექტური მედიისთვის

## ხელისუფლება იოლად არაფერს დათმობს

გვ.4



## ნანა ხურითი: „ისეთ თეატრში ვერ ვიმუშავებ, სადაც შებოჭილი ვიქნები"

გვ.8

ISSN 1987-9385

„ახალი თაობა"+ „ბითლზი"

8 ლარი

23 ნოემბრიდან





# ცხინვალში კარვების ქალაქი გაშალეს

## კოკოითი ოპოზიციონერების დაპატიმრებას არ აპირებს

თეა მარხვაიძე

ცხინვალში თოვლის რევოლუციის მოლოდინში არიან. თოვლიანი რევოლუციის დედოფალი ალა ჯიოევა დათმობაზე არ მიდის. ის იმდენად არის საკუთარ ძალებში დარწმუნებული, რომ კოკოითისთან მოლაპარაკებაზეც კი არ მივიდა. მეტიც, მან კოკოითის ულტიმატუმი წაუყენა და მომხრეებთან ერთად ელოდება, როდის გადააბარებენ მას პრეზიდენტის უფლებამოსილებას. საპროტესტო განწყობა ხალხში არ კლებულობს. მოსახლეობის ნაწილი ჯიოევაზე მეტად არის მოწადინებული მის გამარჯვებაში. ხელისუფლების თავხედობა მათ უკვე ყელში ამოუვიდათ.

საპროტესტო აქციების მოწყობა აქ ადრეც სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. კოკოითის რეჟიმმა გამოსვლები არ დაუშვა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმება კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

ახლა საქმე იქამდე მივიდა, რომ მომხრეების დაშლას ალა ჯიოევაც ვეღარ ახერხებს. სანამ კარვების ქალაქს გაშლიდნენ, ჯიოევა მომხრეებს ღამის სახლში გატარებას სთხოვდა. ხალხი უარზე იყო. ამიტომაც გადაწყვიტეს ცხინვალში კარვების ქალაქის გახსნა.

აქციებს ძლიერი სიცივეები დაემთხვა. აქციის მონაწილეები ცეცხლს საბურავებით ანთებენ. გამოიყენება მეორე ვარიანტიც, კასრში ცეცხლის დანთება.

გასათბობად გამოიყენება ცხელი ჩაიც, რომელსაც აქციის მონაწილეებს ბუტერბროდებთან ერთად ურიგებენ.

გულხელაკრეფილი არც ხელისუფლებაა. მთავრობის სახლის მთელ პერიმეტრზე ძალოვნები არიან განთავსებული. როგორც ამბობენ, ბევრმა მათგანმა უარი თქვა ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე.

სავარაუდოდ, ამიტომ ჩამოიყვანეს ვლადიკავკაზიდან ცხინვალში სპეცრაზმელები. ამ ინფორმაციას არც სამხრეთ ოსეთისა და არც ჩრდილოეთ ოსეთის შს სამინისტროები ადასტურებენ.

ოქტომბრის აქციებისგან განსხვავებით, ეს აქციები ჯერჯერობით მშვიდად მიმდინარეობს. ოქტომბრის თვეში აქ აქციები ძამბოლატ თედეევის მხარდასაჭერად მიმდინარეობდა.

აქციის მონაწილეებს ღამის საათებში აპატიმრებდნენ. დაკავებულთა რიცხვმა მაშინ ასს გადააჭარბა. წინასწარი დაკავების იზოლატორები გადაიტვირთა. ამის გამო საზღვრის დარღვევის ბრალდებით დაკავებული ქართველები გაათავისუფლეს.

ღამის დაპატიმრებები ცხინვალში ჯერ არ დაუწყიათ. ამის პირობა კოკოითიმ ჯერ კიდევ 30 ნოემბრის ღამით დადო. პირობა დარღვეული არ არის.

ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობაზე კოკოითიმ 2 დეკემბერსაც გააკეთა განცხადება. მან პირობა დადო, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიებს არ მიმართავს.

ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ჩრდილოეთ ოსეთში. აქაურთა პრეზიდენტი თეიმურაზ მამსუროვი საეჭვოდ უჭერს კოკოითის მხარს. სწორედ მის მიერ გაგზავნილმა სპეცრაზმმა დაატოვებინა ოქტომბრის თვეში ცხინვალი თედეევს. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ თედეევის უახლოესი გარემოცვის დაპატიმრებები დაიწყო და ამას კოკოითის ნაცვლად მამსუროვი აკეთებს.

ოსური პორტალების ცნობით, გაუჩინარდა საიტ „უასამონგას" რედაქტორი სოსლან კოკოევი. რომელიც თავისი სტატიებითა და კარიკატურებით სერიოზულად უშლიდა ნერვებს კოკოითის რეჟიმს.

ოსური პორტალების ცნობით, სოსლან კოკოევი 2 დეკემბერს დააკავეს. მისი ადგილსამყოფელის დადგენა მთელი დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა. არც ის არის ცნობილი, რა ბრალდებით არის ის დაკავებული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს. კოკოევის დაპატიმრების შესახებ გავრცელებულმა ცნობამ ცხინვალელი მომიტინგეები აღაშფოთა.

ცნობისათვის, სოსლან კოკოევი ალა ჯიოევას საარჩევნო კამპანიაში და ამჟამად ცხინვალში მიმდინარე მოვლენების გაშუქებაში აქტიურად იყო ჩართული. აქციები მეტ-ნაკლებად მშვიდად მიმდინარეობს. სამაგიეროდ კრიმინალური ვითარება გართულებულა. სააგენტო „რესის" ცნობით, ცხინვალში საპროტესტო აქციების პარალელურად კრიმინოგენული მდგომარეობა დამძიმდა.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო შსს-ს ინფორმაციით, მიტინგების მსვლელობის პერიოდში გახშირდა დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, ავტოტრანსპორტის გატაცება და ძარცვა.

„რესის" ცნობით, 1 დეკემბერს ცხინვალის რაიონის სოფელ ხოდში ერთ-ერთ მოსახლეს ყაჩაღურად დაესხნენ თავს. სამმა ნიღბიანმა, „მაკაროვის" პისტოლეტით შეიარაღებულმა პირმა 339 ათასი რუბლი, ოქროს ძეწკვი გაიტაცა და დანაშაულის ადგილიდან მიიმალა.

ძალოვნები წესრიგის დასაცავად პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ. აქვე აცხადებენ, რომ ამ სამუშაოს ეფექტურობა მოსახლეობის თანადგომაზეა დამოკიდებული. ამის გამო შსს მოქალაქეებს ყურადღებით ყოფნას და ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს იმ პირებზე, ვინც მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს.

„ახალი თაობა" უკვე წერდა, რომ ადგილობრივმა უშიშროების სამინისტრომ ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარი თქვა. ყოველ შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთეს. ხალხისთვის სროლას არც შსს აპირებს. სამაგიეროდ, ქუჩებში მძიმე საბრძოლო ტექნიკაა გამოყვანილი. რამდენიმე მათგანი მთავრობის სახლის კიბეებთან დგას. იქ მანქანები მას შემდეგ განალაგეს, რაც ხალხმა შენობის შტურმი სცადა.

მოსახლეობამ შენობაზე შტურმი 30 ნოემბერს ორჯერ სცადა. მაშინ მათ შესაჩერებლად ჰაერში ისროლეს.

იმ დღის შემდეგ სროლები აღარ ყოფილა. ოპოზიცია ეჭვობს, რომ ხელისუფლება სხვა ფორმით აპირებს მათი აქციების აღკვეთას. მათი თქმით, შესაძლოა პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს.

ოსური პორტალების ცნობით, ალა ჯიოევას მომხრეები სამხრეთ ოსეთის პარლამენტის დათხოვნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ. ინფორმაციას ამის შესახებ გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი ავრცელებს.

– უკვე 2-3 დღეა, აქ ვდგავართ და ვიწყებთ დეპუტატების გაწვევის და პარლამენტის დათხოვნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას, – განაცხადა ბარანკევიჩმა.

მისივე თქმით, თუ უახლოეს დღეებში კონკრეტული გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული, ჯიოევას მომხრეები ათი ათასამდე ხელმოწერას შეაგროვებენ. ბარანკევიჩი დარწმუნებულია, რომ ასეთ შემთხვევაში ძალოვნები ხალხის მხარეს დადგებიან.

ამის ნიშნები, როგორც ამბობენ, უკვე თვალშისაცემია, რუსულ მედიასთან საუბარში ალა ჯიოევა ამტკიცებს, რომ ძალოვნების დიდი ნაწილი პრაქტიკულად მათ მხარეს არიან გადასულები.

ოპოზიციის აღელვება კოკოითის სხვა რამის გამოც აღელვებს. მოგეხსენებათ, რომ 4 დეკემბერს დუმის არჩევნებია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასაც მოუწევს მონაწილეობა. აქაურთა დიდი ნაწილი ხომ რუსეთის მოქალაქეა.

რუსეთის მოქალაქეები მრავლად არიან ოპოზიციაში. ოპოზიცია რუსეთზე განაწყენებულია და წყენას ორიგინალური ფორმით გამოხატავენ.

„კავკაზსკი უზელის" ცნობით, ალა ჯიოევას მომხრეები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. ვებგვერდის ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა ადამიანებმა, რომლებიც ჯიოევას უჭერენ მხარს და რომელთა უმეტესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, გადაწყვიტეს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ.

პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ კი მოქალაქეებს ამ არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა.

– რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში განადგურებისგან გვიხსნა, მთელ მსოფლიოში გვიწევს დახმარებას, მოძმე რუს ხალხთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა ჩვენთვის, როგორც რუსეთის მოქალაქეებისთვის, სამოქალაქო ვალია, – განაცხადა კოკოითიმ.

გუშინ სამხრეთ ოსეთი დროებით რუსეთს მოსწყდა. დიდთოვლობის გამო ტრანსკავკასიური მაგისტრალი ჩაკეტეს, ოპოზიციამ ეს საეჭვოდ მიიჩნია. ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ ასე ზვავსაშიშროების გამო მოიქცნენ.

არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. ალა ჯიოევა თავს უკვე პრეზიდენტად მიიჩნევს. რუსულ მედიას უთხრა. რომ ახლა ისაა პრეზიდენტი, კოკოითი კი ოპოზიცია.

# პრესის ასოციაცია: „ივანიშვილს პრესის გავრცელებასთან დაკავშირებით ორიგინალური იდეა აქვს"

ბიძინა ივანიშვილითან შეხვედრაზე მყოფი პრესის ასოციაციის წარმომადგენელბის თქმით, ივანიშვილს პრესის გავრცელებასთან დაკავშირებით ორიგინალური იდეა აქვს, თუმცა ჟურნალისტების მისი დაკონკრეტებისაგან თავს იკავებენ.

საქართველოს პრესის ასოციაციის წევრებისა და ბეჭდური მედიის გამომცემელთა და გამავრცელებელთა შეხვედრა ივანიშვილის ბიზნესცენტრში დღეს ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტის ჯაბა ხუბუას თქმით, განხორციელების შემთხვევაში, ივანიშვილის იდეა საკმაოდ ეფექტური და საინტერესო იქნება. ბიზნესმენი აღშფოთებულია პრესის გავრცელების კუთხით მიმდინარე მოვლენებით.

„პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ ხედვებზე პრესის ასოციაციაში შევჯერდებით და სავარაუდოდ, მომავალ კვირას, ჩვენს იდეებს წარვუდგენთ, თუმცა მისი იდეა ჩვენც ძალიან მოგვეწონა და მხარს ვუჭერთ",– აღნიშნა ხუბუამ.

ანალოგიური განცხადება გააკეთა სადისტრიბუციო კომპანია „პლანეტა-ფორტეს" ხელმძღვანელმა მერაბ ჩანჩალაშვილმა.

მისი თქმით, პრესის გავრცელების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად საჭირო ფორმებზე პრესის ასოციაციის წევრები და გამავრცელებლები უახლოეს დღეებში შეჯერდებიან. ხოლო პროექტი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის დახმარება სჭირდებათ, მათ თავად უნდა წარადგინონ.

„ეს შესაძლოა, იყოს ფოსტალიონების ინსტიტუტის გაფართოება, ხელმოწერის ქსელის გაზრდა ან სხვა რამ. ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ პროექტი, რაში გვჭირდება დახმარება", – განაცხადა მერაბ ჩანჩალაშვილმა.

ბიზნესმენთან შეხვედრაზე იმყოფებოდნენ პრესის სადისტრიბუციო კომპანიების „პლანეტა ფორტეს", „ელვა სერვისის", „მაცნეს", „ექსპრესის", პრესინფოს" ხელმძღვანელები, ასევე წარმომადგენელბი ბეჭდური მედიიდან – „რეზონანსი", „კვირის პალიტრა" , „ახალი ვერსია" , „ასავალ-დასავალი" და სხვები.

შეგახსენებთ. რომ მერიამ პროექტ „1000 ჯიხურის" ფარგლებში აუქციონი გამოაცხადა. აუქციონი უმეტეს შემთხვევებში იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც უკვე იდგა პრესიის ჯიხურები, მათი აღების პროცესი უკვე დაწყებულია. მერიის გადაწვეტილებას „საქართველოს პრესის ასოციაცია", სხვადასხვა მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები აპროტესტებენ. მათ რამდენიმე დღის წინ თბილისის მერიასთან აქცია გამართეს. გუშინ კი საკრებულოში ფრაქცია „ქრისტიან დემოკრატების" გაფართოებულ სხდომაზე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ პრესისა და მერიის ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, თუმცა შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

მედიანიუსი

# კუდ-მა ქარელის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი დააკავა

კოსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი თამაზ ხარატიშვილი და ამავე სამსახურის თანამშრომელი ვასილ ყველაშვილი დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ასევე დაკავებულია ხაშურის სპორტული სკოლის დირექტორი მევლუდ ლომიძე, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ბავშვთა საფეხბურთო ტურნირის ჩატარებისთვის ქრთამის სახით გამოსძალეს 3 000 ლარი.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

პრაიმ-ნიუსი

# საქველმოქმედო ფონდების ხელმძღვანელები და თანამშრომლები დააკავეს

უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, დაუსაბუთებელი შემოსავლების ლეგალიზაციისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საქველმოქმედო ფონდების ხელმძღვანელები და თანამშრომლები დააკავა.

ფართომასშტაბიანი ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად, დაკავებულები არიან „სობიკოს", „დალი-ს", „დეა-ს", „ლიკა-ს", „მზეთვალა-ს", „ლ&ს," „იმედი 11-ის", „ლიზიკუნა-ს", „დილა 11-ის," „სპექტრი+,-ის", „სპექტრი 24-ის", „სპექტრი 21-ის", „ქოლგა-ს", „კრისტალი 2010-ის", „აისი XXI-ის", „იბერია 2009-ის", „მომავალი თაობების გადასარჩენად,", „თიელჯი-ს", „დღე და ღამე-ს", „ავრორას", „თანადგომა-ს", „შერაგი-ს", „გადავარჩინოთ დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები-ს", „მოხუცთა და ბავშვთა დახმარების ფონდი-ს" წარმომადგენლები, სულ სულ ათი პირი.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები ახდენდნენ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, სმენადაქვეითებულთა სკოლების, მოხუცებულთა სახლებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთების რეალიზებას კომერციული მიზნებისთვის.

კერძოდ, მოქმედებდა დანაშაულებრივი სქემა, რომლის მონაწილე პირებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „დსთ-ს ქვეყნების განვითარების საქველმოქმედო ფონდიდან" საქართველოში შემოჰქონდათ ჰუმანიტარული ტვირთი: ჰიგიენური საშუალებები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, პარფიუმერია.

ბრალდებულები ფონდის წარმომადგენელთან, მარია ბონდარევასთან შევიდნენ დანაშაულებრივ გარიგებაში, დააფუძნეს საქველმოქმედო ორგანიზაციები და წლების განმავლობაში იღებდნენ ჰუმანიტარული მისიის ტვირთს, რომლის რეალიზებას ახდენდნენ ადგილობრივ ბაზარზე.

მთლიანობაში, ამ ფონდიდან შემოტანილი იქნა 11 489 180 ლარის საბაჟო ღირებულების ტვირთი.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ რეალიზაციიდან მიღებული თანხების გადარიცხვა ხდებოდა აღნიშნული ფონდის და ბონდარევას პირად ანგარიშებზე. აშშ-ში გადარიცხულმა თანხამ 2 400 000 აშშ დოლარი შეადგინა. სამართალდამცველებმა ბრალდებულები დანაშაულის ფაქტზე დააკავეს. სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის ზუსტ ოდენობას გამოძიება დაადგენს.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე და 192-ე მუხლების მეორე ნაწილებით, 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც საერთო ჯამში, 9 დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მაესტროს“ არსებობა სააკაშვილის ნებაა

## ეროსი კიწმარიშვილი ოქრუაშვილისგან მითითებებს იღებდა?!

**ნათია ხურცილავა**

ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენების ირგვლივ სპეციალურ პრესკონფერენციაზე საათნახევრის განმავლობაში ეროსი კიწმარიშვილმა ძირითადად მონოლოგის რეჟიმში ისაუბრა.

მას შემდეგ, რაც მამუკა ღლონტმა და არხის სხვა დამფუძნებლებმა ტელევიზიის შენობა ჟურნალისტებთან ერთად დატოვეს, „მაესტროს“ შენობაში თავის დაცვასთან ერთად ეროსი კიწმარიშვილი იმყოფება და აცხადებს, რომ „მაესტროს“ მაუწყებლობა არალეგალურად გადის და ის რომელიმე უცხურ ტელევიზიას ჩართავს „მაესტროს“ ეთერში.

კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის“ მოლაპარაკებები ორივე მხარესთან უშედეგოდ დასრულდა. ამის შემდეგ მამუკა ღლონტმა რადიო „უცნობის“ ოფისში გადაინაცვალა, საიდანაც რადიო „მაესტრო“ გადის.

– ტელეკომპანია „მაესტრო“ უკანონოდ მაუწყებლობს. სიხშირე საეთერო მაუწყებლობის არა აქვს, ჩვენ საქმე გვაქვს საკაბელო მაუწყებლობასთან. უკვე მივმართე მარეგულირებელ კომისიას, რომ მაუწყებლობის ერთადერთი ლეგალური ადგილი სტუდია „მაესტროს“ შენობაშია. ერთადერთი ლეგალური ადგილი, საიდანაც უნდა გადიოდეს ლეგალური სიგნალი, იქნება ეს ადგილი და მე ველოდები მათ რეაქციას. ყველაფერი, რაც აქ არსებობს, მეკუთვნის მე 2012 წლის 30 ნოემბრამდე, მათ შორის მაუწყებლობის უფლება, მათ შორის „მაესტროს“ მიკროფონი, მისი ერის გამოყენება. მათ შორის კონტრაქტი, ლიცენზიები არის ჩემი განკარგვის ქვეშ, – აცახადებს კიწმარიშვილი.

კიწმარიშვილმა ჟურნალისტებს დაპირისპირების მიზეზების შესახებ განუცხადა და ამის მთავარ მიზეზად ივანიშვილზე მიანიშნებს, რადგან ტელევიზიაში, როგორც ის ამბობს, ეიფორიული მდგომარეობა შეიქმნა.

– თვენახევრის წინ დაიწყო პროცესი, რომელმაც დამანახა, რომ შესაძლებელია ერთი ადამიანის ფანკლუბი მივიღოთ ამ ტელევიზის სახით. მე ვთქვი, რომ ამის დაშვება არ შეიძლება. ეს არ არის ჟურნალისტების ბრალი. ეს იყო ის ეიფორია, რომელიც წარმოექმნათ დაფუძნებლებს. მე ვცდილობდი, რომ გავქცეოდი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის გავლენას. ამ შემთხვევაში საუბარია იმ ადამიანზე, რომლის განცხადების შემდეგაც აიჭრა სიტუაცია „მაესტროში“. მისი განცხადების შემდეგ მოდიოდნენ კონკრეტული ადამიანები ივანიშვილის სახელით, ეს ადამიანი იყო, მაგალითად, გია ხუხაშვილი, რომელიც მოლაპარაკებებს ივანიშვილის ინტერესების მიმართულებით აწარმოებდა. ასევე, 13 ნოემბერს ივანიშვილს შეხვდა მამუკა ღლონტი. საუბარი იყო იმ იმედებზე, რომ მას მომავალში პრობლემა არ შეექმნებოდა. ამავე პერიოდში ეპისტოლარული ურთიერთობა დაიწყეს ჩემთან დამფუძნებლებმა. მათი გააქტიურება დროში ზუსტად ემთხვევა ივანიშვილის გამოჩენას. ასევე აქტიურად მოღვაწეობდა ერთ-ერთი დამფუძნებელი – მაკა ასათიანის მეუღლე გოგელია, რომელიც აიმედებდა ღლონტს, თუ ის გააღრმავებდა კონფრონტაციას ანუ ჩემთან გაწყვეტდნენ ხელშეკრულებას, ჩემგან ე.წ. კაბალური ურთიერთობისგან გავიდოდნენ, მათ ექნებოდათ ფინანსური მხარდაჭერა, – განაცხადა ეროსი კიწმარიშვილმა.

ეროსი კიწმარიშვილს მამუკა ღლონტმა უპასუხა. ის ამბობს, რომ მას არაფერი არა აქვს დასამალი.

ღლონტმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ მისი და ივანიშვილის შეხვედრა შედგა და ეს იყო ჯენტლმენური შეხვედრა.

**მამუკა ღლონტი:**

– დაახლოებით 15 წუთიანი შეხვედრა მქონდა ივანიშვილთან და კონფლიქტი, რომელიც მის პირველ განცხადებას უკავშირდებოდა, საბოლოოდ ამოვწურეთ. ეს იყო წმინდა წყლის ჯენტლმენური შეხვედრა. არ დავმალამ, რომ მან მკითხა, სჭირდებოდა თუ არა მაესტროს დახმარება. რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ სჭირდებოდა, რადგან ეროსი კიწმარიშვილისგან გვქონდა მოსმენილი, რომ მას ნახევარი შტატის გაშვება უნდოდა, „მაესტროს“ სატელიტიდან უნდოდა მოხსნა. შესაბამისად, ვუთხარი, თუ მას სურვილი ექნებოდა „მაესტროს“ დახმარების, მე მისი მხოლოდ მადლობელი ვიქნებოდი, მაგრამ ეს ყველაფერი ლეგალურად უნდა მომხდარიყო. მას შეეძლო რეკლამა მოეტანა, ოფიციალური შემოწირულობა გაეკეთებინა. ამაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. ასევე, მივმართავ მიხეილ სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, „მაესტროს“ უჭირს და იქნებ მოიტანოთ „ნაციონალური მოძრაობის“ რეკლამა.

მამუკა ღლონტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალი ოფისი უნდა დაიბრუნონ, რომელიც კიწმარიშვილმა უკან დააბრუნა.

– ჩვენ ვიბრუნებთ იმ ოფისს, რომელიც ბატონმა ეროსიმ ჩააბარა. ეს ოფისი არის პავლოვის ქუჩაზე. საკმაოდ დიდი ოფისია. ამ ოფისს დავიბრუნებთ და ვეცდებით ახალი წლის შემდეგ უფრო დიდი სტუდიიდან, უფრო კარგი გამოსახულებით, უკეთესი სტუდიებით გავიდეთ ეთერში. გარდა ამისა, დავიბრუნებთ იმ შენობას, რომელშიც ახლა „გამაგრებული“ არის ალპინისტი ეროსი დანარჩენ ალპინისტებთან ერთად. ვაფრთხილებ ეროსი კიწმარიშვილს, რომელიც ფულებს იპარავდა, ახლა არ მოიპაროს რაიმე აპარატურა, ყველაფერი იყოს ხელუხლებელი. მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, რომ მათ დალუქონ ნუცუბიძეზე მდებარე ოფისი, – განაცხადა მამუკა ღლონტმა.



მამუკა ღლონტი: „ვაფრთხილებ ეროსი კიწმარიშვილს, რომელიც ფულებს იპარავდა, ახლა არ მოიპაროს რაიმე აპარატურა, ყველაფერი იყოს ხელუხლებელი"

ეროსი კიწმარიშვილი საუბრობს გიორგი და ლევან გაჩეჩილაძეების წილზე.

– ჩემთან დადებული ხელშეკრულების შემდეგ ვგებულობ, რომ მამუკა ღლონტსა და დამფუძნებლებს აქვთ ვალდებულება 50 პროცენტიანი წილის ლევან გაჩეჩილაძესთან და მის ძმასთან იმის გამო, რომ ლევან გაჩეჩილაძე მათ ლიცენზიის მოპოვებაში ეხმარებოდა. რამდენიმე თვის წინ, თურმე თავისი დაძინებული აქტივი მართვაში გადასცა დამფუძნებლებს გიორგი გაჩეჩილაძემ. ეს ამბავი სინამდვილეში ამ წერილის გაგზავნიდან ორ დღეში მოხდა. დღეს „მაესტროში“ წილების მდგომარეობა აჭრილია, – ამბობს კიწმარიშვილი.

როგორ მოიზიდა მან ტელეკომპანიაში, როგორც თავად ამბობს 4 მილიონ ნახევარი დოლარი, ის ამაზე შემდეგს ყვება:

– ტელევიზიაში ფინანსები მართვის კომპანიისაგან, პირადად ჩემგან მოდიოდა. ამ ფინანსების მოძიებას ვახდენდი პირადად ჩემგან, ჩემი მეგობრებიდან, ასევე შემოწირულობებიდან და გრანტებიდან. ძალიან ბევრი ადამიანი დაეხმარა „მაესტროს“ ჩემი რეპუტაციის გათვალისწინებით. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე, მიუხედავად წარსულში ჩემი ურთიერთობისა ბადრი პატარკაციშვილთან, – ამბობს კიწმარიშვილი.

გუშინ ეროსი კიწმარიშვილმა არხის დამფუძნებლებს სერიოზული ბრალდებები წაუყენა. ბრალდებები ძირითადად შავი ბუღალტერიის არსებობას და დოკუმენტაციის განადგურებაში გამოიხატება.

– გატანილია ყველა საფინანსო დოკუმენტი. მქონდა ინფორმაცია, რომ აქ ორი დღის განმავლობაში ნადგურდებოდა მთელი ე.წ. შავი ბუღალტერია. აქედან გატანილია ყველა ფინანსური დოკუმენტი. გატანილია ტექნიკის ნაწილი. მთელი ღამე ვახდენდით ინვენტარიზაციას. გატანილია კამერები, გატანილია სხვა ტექნიკა, რომლის ინვენტარიზაციას დღის მეორენახევარში დავასრულებთ, როდესაც აღვადგენთ მაუწყებლობას, – ამბობს ეროსი კიწმარიშვილი.

ეროსი კიწმარიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის არ აპირებდა ამ საკითხებზე არასდროს საუბარს. თუმცა, ახლა იძულებულია, რომ ისაუბროს დეტალებზე.

– ტელეკომპანია იარსებებს თუ არა, მთლიანად სააკაშვილის ხელშია. როგორ ჩათვლის ამ დავაში მონაწილეობას სააკაშვილი, იმაზე არის დამოკიდებული, იარსებებს თუ არა „მაესტრო“. მე შევდივარ სამართლებრივ დავაში. გავაკეთებ ყველაფერს, რომ დავიცვა ჩემი და იმ ადამიანების უფლებები, რომლებმაც 2009 წლიდან შევქმენით ეს ტელევიზია. მე არ მინდოდა მთელ ამ ურთიერთობაში ჟურნალისტები მძევლებად გადამექცია. ჟურნალისტები და ოპერატორები ტექნიკით ხელში გააქცია ღლონტმა ტელევიზიიდან, – აცხადებს კიწმარიშვილი.

„მაეტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი მარეგულირებელ კომისიაშიც გაკეთდა.

– რამდენიმე დღეა ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ტელეკომპანიაში მიმდინარე მოვლენებს და კიდევ ერთხელ მოუწოდებთ მხარეებს, რომ მხოლოდ სამართლებრივი გზით მოაგვარონ მათ შორის არსებული დაპირისპირება. ასევე უზრუნველყონ ჟურნალისტებისთვის შესაბამისი გარემო მუშაობისთვის. რაც შეეხება ბატონი ეროსის განცხადებას, განცხადების თანახმად, ის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მოუწოდებს, რომ მიმართოს ყველა საკაბელო ოპერატორს, რათა მათ „მაესტროს“ სიგნალი არ გაავრცელონ. ჩვენ გვინდა განვმარტოთ, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია არასდროს არ ერეოდა საკაბელო ოპერატორების საქმიანობაში. ისინი დამოუკიდებლად, მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად თავად წყვეტენ, რომელი სამაუწყებლო არხი ჩასვან საკუთარ საკაბელო ქსელში, – განაცხადა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა.

მარეგულირებელ კომპანიაში აცხადებენ, რომ მართვის კომპანიის ხელში „მაესტროს“ ლიცენზია ვერანაირად ვერ აღმოჩნდება.

გია ხუხაშვილი ეროსი კიწმარიშვილის განცხადებას, რომ „მაესტროს“ შეძენაზე ტელეკომპანიის დამფუძნებლებთან მოლაპარაკებას ბიძინა ივანიშვილის სახელით ხუხაშვილი აწარმოებდა, აბსურდულს უწოდებს.

როგორც ექსპერტმა განაცხადა, ერთი მხარე ამბობს, რომ ტელეკომპანიას არ ყიდის, მეორე კი აცხადებს, რომ არ ყიდულობს.

– ეს არის კიწმარიშვილის ისტერიკული რეაქცია ჩემს გუშინდელ ეთერზე, როდესაც მისი შინაგანი მოტივაციები პირდაპირ ეთერში ვთქვი. ჩემი სიტყვები ალბათ მაზოლზე მოხვდა და ახლა ათას სისულელეს იტყვის და თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მე საერთოდ არ წარმოვადგენ ბიძინა ივანიშვილს. ავად არის ეს კაცი და რას ვიზამთ! – განაცხადა ხუხაშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი გააკეთა.

როგორც ბასმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე რეპორტაჟებს დიდი დრო ეთმობა, მისთვის სრულად არ არის ცნობილი რეალური ფაქტები. შესაბამისად, მიმდინარე დავაზე კომენტარს ვერ გააკეთებს. თუმცა, აღნიშნავს სხვა პრობლემას, რომელიც საქართველოშია შექმნილი.

ელჩის განცხადებით, მნიშვნელოვანია ნებისმიერ მედიასაშუალებას ჰქონდეს ნათელი და გამჭვირვალე სარედაქციო პოლიტიკა, იქნება ეს ბეჭდური, ელექტრონული თუ ინტერნეტგამოცემა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, ვინ არიან ის პირები, ვინც სარედაქციო პოლიტიკაზე გადაწყვეტილებას იღებენ, წყვეტენ, რომელი ახალი ამბავი უნდა გახდეს გაშუქების ღირსი.

– ერთი რამ, რის ნაკლებობასაც ვხედავ საქართველოში, ის თემაა, რომ სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები ყოველთვის არ არიან ცნობილი და ვერ ვიგებთ, როგორ ხდება სარედაქციო პოლიტიკის გატარება, რა ახალი ამბის შერჩევას ანიჭებენ უპირატესობას ესა თუ ის კონკრეტული მედიასაშუალებები. გასულ წელს პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი შესწორებები, რომლითაც აუცილებელია გამჭვირვალე გახდეს მედიამფლობელთა ვინაობა, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ სარედაქციო პოლიტიკა იყოს გამჭვირვალე, – განაცხადა ბასმა.

„მაესტრომ“ ფარული ვიდეო ჩანაწერი გაავრცელა. ტელეკომპანიის ინფორმაციით, მასალაში, სავარაუდოდ, კიწმარიშვილისა და ოქრუაშვილის სატელეფონო საუბარია.

„მაესტროს“ წარმომადგენლების განმარტებით, ჩანაწერი ეროსი კიწმარიშვილსა და მამუკა ღლონტს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პერიოდში ერთ-ერთი შესვენების დროს არის გაკეთებული.

# საქართველოს პენიტენციურ სისტემაში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შეიქმნება

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე პენიტენციურ სისტემაში სრულიად ახალი ტიპის – თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შეიქმნება. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის პროექტს სამინისტრო პარლამენტში წარადგენს.

მინისტრის თქმით, ეს რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული რეფორმით ქვეყანაში დაინერგება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული სტანდარტი. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განთავსდებიან ის პირები, რომლებსაც სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების შეზღუდვა და ის მსჯავრდებულები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოს მიერ, მათივე თანხმობის საფუძველზე შეეცვლებათ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს არ ექნებათ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობა და გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებში.

ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ შაბათ-კვირას დატოვონ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად განთავსებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ და შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ სააგენტოს მიერ შექმნილ სხვადასხვა პროფილის საწარმოში.

მსჯავრდებულები არასამუშაო დღეებში შეუზღუდავად ისარგებლებენ ხანმოკლე პაემნის უფლებით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მსჯავრდებულები გაივლიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო კურსებს, აქვე შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის მიღება.

**მედიანიუსი**

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილმა ირიბად აღიარა, რომ საქმე სერიოზულ ოპონენტთან აქვს“

რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის თქმით, ორთვიანი დუმილის შემდეგ „ეკონომისტთან“ გაკეთებული განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა ირიბად აღიარა, რომ ივანიშვილის სახით საქმე სერიოზულ ოპონენტთან აქვს. აღნიშნული განცხადება ბერძენიშვილმა გაზეთ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებული სააკაშვილის კომენტარის – „ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ დაგვაკარგვინებს“, შეფასებისას გააკეთა. მისი თქმით, მთელი ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილი ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა მისთის უმნიშვნელო მოვლენა იყო. „ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უხსენებია. სამაგიეროდ ინტენსიურად დადიოდა და დღეში 2-3-ჯერ ხსნიდა ამა თუ იმ დაუმთავრებელ შენობას. შექმნა ფსევდოაქტიურობის ფონი, თითქოს ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა მისთვის უმნიშვნელო რამ იყო.

თუმცა ეს მან ვერ მოახერხა ქვეყნის გარეთ. „ეკონომისტის“ მიერ დასმულ შეკითხვას თავი ვერ აარიდა და იძულებული გახდა ერთი წინადადება მაინც ეთქვა. ის, რაც მას გასდის საქართველოში, არ გამოუვა დასავლურ პრესასთან. „ეკონომისტი“ არ არის ის გამოცემა, რომელსაც სააკაშვილი შეუკვეთავს, რა უნდა ჰკითხონ. მისი ერთი ფრაზა „ივანიშვილი ფორმაში გვამყოფებს“ იყო ირიბი აღიარება ივანიშვილის ძალისა. ფაქტია, რომ შეშფოთებულია. ის, რაც ივანიშვილამდე გასდიოდა, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ აღარ გასდის და სრულიად საფუძვლიანად ეს მის შეშფოთებას იწვევს“– განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას დავით ბერძენიშვილმა.

**მედიანიუსი**

# რატომ დააკავეს შალვა ნათელაშვილი აეროპორტში

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკულ-ევროპული ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. პარტიაში აცხადებენ, რომ შალვა ნათელაშვილს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაწყებული ყველგან ვანო მერაბიშვილის უწყების თანამშრომლები უთვალთვალებდნენ და ფოტოებს უღებდნენ.



შალვა ნათელაშვილი

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა რამდენიმე შეხვედრა გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ერთი საპროტესტო აქციაც მოაწყო თეთრ სახლთან.

,,ვიზიტის განმავლობაში შალვა ნათელაშვილის თბილისიდან მივლინებული ოპერატიულ მუშაკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები აკონტროლებდნენ, ისინი აწარმოებდნენ შალვა ნათელაშვილის ფოტო და ვიდეოგადაღებას მისი ყოველი გადაადგილებისას. ველოდებით ამერიკის ელჩისგან პასუხს ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკშვილის ქმედებებზე, – აცხადებენ ლეიბორისტები და იქვე მიუთითებენ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შალვა ნათელაშვილი ჯერ გაჩხრიკეს და შემდეგ რამდენიმე წუთით ფაქტობრივად უკანონოდაც ჰყავდათ დაკავებული.

# ხელისუფლება იოლად არაფერს დათმობს

შორენა კოწოწაშვილი

**ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი ყველაფერს არჩევნებისთვის არაერთ ნაბიჯს გადადგამს და არაერთ პროვოკაციას განახორციელებს პოლიტიკური ოპონენტის – ბიძინა ივანიშვილის მიმართ.**



გუგული მაღრაძე

რამდენად იკვეთება ტელეკომპანია ,,მაესტროში“ მიმდინარე პროცესებში ხელისუფლების ხელი და რა ნაბიჯი ინდა გადადგას ბიძინა ივანიშვილმა, ამ და სხვა საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ქალთა პარტიის ლიდერ გუგული მაღრაძესთან.

***– ქალბატონო გუგული, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, მართლაც თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლით განაახლა თუ არა ხელისუფლებამ ოპონენტებთან ბრძოლა?***

– ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა პრინციპში არის გაცილებით უკეთესი, ვიდრე იყო ადრე. იმ ცნობილი ფაქტორის გამო, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციურ ფლანგზე არსებობს. ხელისუფლება ცხადია არ აპირებს უბრძოლველად დათმოს. ის ყველა შესაძლებლობას და ყველა ვარიანტს გამოიყენებს იმისათვის, რომ პროცესი გახდეს დაძაბული, სიტუაცია აიმღვრეს, რათა ხელისუფლებას მღვრიე წყალში ოქროს თევზის დაჭერის საშუალება მიეცეს. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ოპოზიციას ნაკლები დრო ჰქონდეს არჩევნებისთვის მოსამზადებლად. ხელისუფლება არაერთ პროვოკაციას განახორციელებს და ეს არის ცნობილი პოლიტექნოლოგიიდან. ამ ხელისუფლების ნაბიჯები არავისთვის არ უნდა იყოს უცხო. როცა მაესტროსთან მიმართებაში განვითარებული მოვლენები შევაფასე, ვთქვი, რომ ჩვენ უნდა ველოდეთ კიდევ არაერთ სხვადასხვა ხასიათის პროვოკაციას, უნდა შევძლოთ, რომ ამას ძალიან გონივრულად და პრინციპულად ვუპასუხოთ. უნდა მოვახერხოთ ეს პროვოკაციები ისე შემოვაბრუნოთ, რომ ნაკლები ზიანი მიადგეს იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც საქართველოში უნდა განვითარდეს, და რომელმაც ეს ხელისუფლება უნდა შეცვალოს. ასეთი პროვოკაციული მოვლენები ხელისუფლების მხრიდან იქნება და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ცვლილების მომხრეა, მზად უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან ამ ტიპის პროვოკაციებისთვის. ხელისუფლებამ მონდომებით აიღო სტარტი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს ოპოზიციას სხვადასხვა მანიპულაციებით. დაწყებული პირდაპირი გალაშქრებიდან პრესის ჯიხურებზე, ხედავთ, რაც ხდება მაესტროში და ა. შ. ალბათ იქნება კიდევ რაღაცები. იგივე საკანონმდებლო ცვლილებები ავიღოთ, რომელიც იმისთვის განხორციელდა, რომ ოპოზიციას კიდევ უფრო გაუჭირდეს. გაგახსენებთ, თავის დროზე იყო ლაპარაკი, რომ პარტიების დაფინანსების ზედა ზღვარი დაწესებულიყო. ამაზე წინააღმდეგი იყო მმართველი პარტია. ახლა პირიქით ამბობს, რომ საჭიროა ზედა ზღვრის დაწესება იმიტომ, რომ ხედავს საპირწონე ოპოზიციურ ძალას, რომელსაც ივანიშვილი წარმოადგენს, აქვს იმდენი ფინანსური შესაძლებლობა, რომ რამდენიც უნდა, იმდენი დახარჯოს. მოქალაქეობაც იმიტომ გაუუქმეს ივანიშვილს, რომ თვითონ ვერ შეძლოს პოლიტიკური აქტივობა. ვფიქრობ, საზოგადოებამ ეს უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, თუმცა უნდა იყოს საკმაოდ მშვიდად და მომზადებული შეხვდეს მსგავს პროვოკაციებს.

***– რაც მაესტროში ხდება, იმაში ხელისუფლების ხელწერას ხედავთ?***

– ხელისუფლებას ყველგან ჰყავს თავისი ხალხი, ზოგან უფრო მაღალი ჩინის, ზოგან უფრო დაბალის. ამ ხალხს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია რაღაც ტიპის პროცესი გააღვივოს, დაპირისპირება შექმანს, რომელსაც ვიღაც წამოეგება. ან კიდევ ვინც ამ პროცესს იწყებს და დაპირისპირებას ქმნის, ის შეიძლება იყოს ხელისუფლების კაცი. ასე რომ, რაც მაესტროში ხდება, ეს ამბები ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს ბევრი გარემოების გამო. ერთი – რაც უფრო შეფერხდება მაუწყებლობა, მით უკეთესია. მეორე – ხალხს შეექმნას უნდობლობა მაესტროს მიმართ, რომ იქ დავა წილების გაყოფაზეა და ფულზეა. ცხადია ესეც არის. ხედავთ, რომ დიდ თანხებზეა ლაპარაკი. ხომ გახსოვთ, როცა მაესტრომ განაცხადა, რომ ჩვენ მივიღებთ დაფინანსებას საიდანაც საჭიროა, ოღონდ კარგად ვიმუშაოთ, ესაც კი უკვე იყო უხერხულობის შემქმნელი ადამიანებისთვის. ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ ადამიანებს დაეკარგოთ რწმენა. ეჭვები გააჩინა იგივე იმ სიებოს გამოქვეყნებამ, თუ ვის აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩნდა უკმაყოფილება, რომ რად უნდოდა იმ ადამიანებს დაფინანსება, ვისაც ისედაც საკმაოდ მაღალი ხელფასები და შემოსავლები აქვთ. ყველა ის ნაბიჯი, რასაც ხელისუფლება აკეთებს, მიმართულია იმისთვის, რომ მისი მოწინააღმდეგე შეასუსტოს, ანდა ივანიშვილის მხარე ჩააყენოს თავის მართლების რეჟიმში. ანდა მოწინააღმდეგე ისეთ რეჟიმში ჩააყენოს, რომ ბევრი ენერგია დახარჯოს სხვა რამეში და არა არჩევნებისთვის მზადებაში.

***– თქვენი აზრით, ხელისუფლების და სააკაშვილის ნაბიჯები პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მსუბუქი მოთელვაა? ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ სააკაშვილს ჯერ ,,მასტერკლასი“ არ ჩაუტარებია.***

– არც მთლად მოთელვაა იმიტომ, რომ სააკაშვილიც რაღაც არსენალით შეზღუდულია. მას არა აქვს განუსაზღვრელი არსენალი, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგე დაასუსტოს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას შეუძლია ყველანაირი ხერხი გამოიყენოს, მათ შორის უწესოც, ყველანაირ ხერხზე ვერ წავა, რადგანაც საქართველოში მიმდინარე პროცესებს დასავლეთი სერიოზულად ადევნებს თვალყურს. მე არ ვფიქრობ, რომ სააკაშვილს უკიდურესად მძიმე ფორმების გამოყენების შანსი ჰქონდეს პოლიტიკური ოპონენტების მიმართ იმიტომ, რომ ახლა ძველი ვითარება არ არის. საერთაშორისო საზოგადოებაც არ მოუწონებს სააკაშვილს ისეთი ხერხების გამოყენებას, რომელიც ზედაპირულად ძალიან მიუღებელია საერთაშორისო საზოგადოებისთვის. სააკაშვილი ასეთი ტიპის ხერხებს გამოიყენებს, სადაც თვითონ არ გამოჩნდება რეალურად ძლიერ აქტიურად და თავის საქმეს სხვას გაკეთებინებს. ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და ფხიზლად, რაც მთავარია. არ უნდა ავყვეთ ხელისუფლების პროვოკაციებს. ერთი მხრივ დადებითი პროცესიც არის, პოლიტიკური სპექტრი სუფთავდება. ახლა უკვე გასაგებია, ოპოზიციაში ვინ თამაშობს ხელისუფლების თამაშს. ვხედავთ და ვიცით, რომ არიან ჟურნალისტები, რომლებიც ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. ნელ-ნელა ყველა ფარდა იხდება და მოჩვენებითობები ქრება. ეს გარკვეულად წმენდს პოლიტიკურ სპექტრს. გამოიკვეთება, ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია და ვინ – ფსევდო. რაც უფრო გამწვავდება კონტრ-ზომები, მით უფრო გამოაშკარავდება ვინ არის ხელისუფლებასთან შეკრული იმიტომ, რომ ამ ადამიანების სააშკარაოზე გამოყვანა თვითონ ხელისუფლებას დასჭირდება. ეს, ერთი მხრივ, კარგიც არის, რადგან საზოგადოებას არჩევანის გაკეთება გაუადვილდება. ყველა გაიგებს, ვინ თამაშობს ხელისუფლების თამაშს.

***– როგორ ფიქრობთ, მართალს ამბობს კიწმარიშვილი, როცა აცხადებს, რომ ივანიშვილის მხარე მაესტროს შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა?***

– მე არ ვიცი, ასეთი მოლაპარკება არის თუ არ არის. მოლაპარაკებების პროცესი, როგორც წესი, საჯარო არ არის ხოლმე. ეს მოგვიანებით ხდება ცნობილი. არა მგონია ისეთი გულუბრყვილო იყოს საზოგადოება, რომ გაუკვირდეს რატომ უნდა ბიძინა ივანიშვილს რომლიმე ტელევიზიის ყიდვა. პირიქით, გაუგებარი იქნებოდა, რომ პოლიტიკაში ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯით მოსულ ადამიანს და ძალას არ უნდოდეს ჰქონდეს თავისი მედია საშუალებები.

***– ბოლო დროს, რაც ხელისუფლებამ ბეჭდვური მედიის წინააღმდეგ გაილაშქრა, აქტიურად საუბრობენ, რომ დავით კეზერაშვილი პრემიერ ნიკა გილაურს ჩაანაცვლებს. ეს ის კეზერაშვილია, რომელსაც დედაქალაქში ჯიხურების ბიზნესიც აქვს.***

– არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს. შეიძლება ხელისუფლებას სჭირდება უფრო პირდაპირი დაფინანსებები. ვისგანაც უფრო იოლად წამოვა ეს დაფინანსება, ალბათ იმას უფრო დააწინაურებს. ხელისუფლება ეცდება იოლად წამოვიდეს თანხა ყველა იმ წყაროდან, საიადანაც შეიძლება წამოვიდეს, იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესი დააფინანსოს. სააკაშვილის ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ხმა მიიღოს არჩევნებზე. ამ ხელისუფლებას გადარჩენის სხვა გზა არა აქვს. არეულობას აქ არც გარე ძალები დაუშვებენ. სააკაშვილი შეეცდება ყველა გზა გამოიყენოს, რათა ძალაუფლება შეინარჩუნოს. მოჩვენებით ოპოზიციურ პარტიებს, ქრისტიან-დემოკრატებს და სხვებს შეძლება უფრო მეტი მანდატი მისცეს, იგივე ახალ მემარჯვენეებსაც და თქვას, რომ აი, ოპოზიციამ მიიღო ხმების გარკვეული რაოდენობა. რეალურად კი აგრძელებს ამ ძალებს თავისი საქმე აკეთებინოს. მაგრამ ამის გაკეთება ადვილი არ არის. ხელისუფლებას ამისი მცდელობა უკვე აქვს და ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან აქტიურობენ ქრისტიან-დემოკრატები, ბევრი დრო ეთმობა მათ ისევე, როგორც ახალ მემარჯვენეებს. არჩევნების მოგება ძალიან არის დაკავშირებული გამჭრიახ გონებაზე. ასევე იმაზე, მოახერხებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი, რომ ყველა ის, ვინც ოპოზიციად განიხილება საქართველოში, იყოს, ასე ვთქვათ, ერთი ქოლგის ქვეშ. იმიტომ, რომ ხალხმა დაინახოს, რომ ვინც ამ ქოლგის ქვეშ არ არის, ის ხელისუფლების მიერ არის მართული. ასეთი განლაგება თუ იქნა, მაშინ ნათლად გამოჩნდება, რომ არსებობს ნაციონალური მოძრაობა, მისი სატელიტი ე.წ. ოპოზიციური პარტიები – ქრისტიან-დემოკრატები და სხვა. ყველა თუნდაც პატარა ოპოზიციური პარტია, რომელიც საზოგადოებაში ნამდვილ ოპოზიციად აღიქმება, ივანიშვილმა თავისი ქოლგის ქვეშ უნდა მოაქციოს, რომ მათი მხრიდან არ იყოს კრიტიკა სააკაშვილის საპირწონე ოპოზიციური ძალის.

# „ქართული პარტია“ თბილისის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა დატოვეს

„ქართული პარტია“ სოზარ სუბარის შემდეგ უკვე თბილისის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმაც დატოვეს.

პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადება ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოში გააკეთეს.

მათი თქმით, ისინი სოზარ სუბარის გუნდის წევრები არიან და პარტიაშიც მხოლოდ მის გამო იყვნენ.

– რაც ეროსი კიწმარიშვილმა გააკეთა, იმის შემდეგ არ გვაქვს მორალური უფლება ამ პარტიაში გავაგრძელოთ მუშაობა, – განაცხადეს თბილისის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა.

პარტიის რეგიონული ორგანიზაციების უკვე ყოფილი თავმჯდომარეები არიან: ვაკე-საბურთალოს რაიონული ორგანიზაცია– თამარ ფიოლია, ისანი-სამგორის რაიონული ორგანიზაცია – დავით ჩართოლანი, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ორგანიზაცია– ზურაბ ღონღაძე და გლდანი-ნაძალადევის რაიონული ორგანიზაცია– იაგო შაიშმელაშვილი.

მათივე თქმით, პარტია მათთან ერთად ბევრმა წევრმა დატოვა და უახლოეს დღეებში მსგავს განცხადებას რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებიც გააკეთებენ.

,,მედიანიუსთან“ საუბარში კი პარტიის პრესსამსახური გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. მათი ინფორმაციით, რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს პარტიისთვის ოფიციალური განცხადებით ჯერ არ მიუმართავთ.

– ჯერ არ გვაქვს ოფიციალური ინფორმაცია, როდესაც შემოიტანენ განცხადებას მაშინვე გავავრცელებთ, – აცხადებს პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლია კამლაძე.

**მედიანიუსი**

# გიგა ბოკერია: „საქართველო ცივილიზებული სამყაროს გონიერ პარტნიორად გამოჩნდა“



ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას შეფასებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიმდინარე მოლაპარაკებისას საქართველო ცივილიზებული სამყაროს გონიერ და მოქნილ პარტნიორად გამოჩნდა.

როგორც ბოკერიამ, საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციისა და დიასპორებთან ურთიერთობის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რუსეთის გაწევრიანება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციში მოიტანს დადებით შედეგს ევროკავშირისთვის, აშშ-სა და მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი და აშშ კი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან. „საქართველო ხეირს ამ გზითაც მიიღებს“, – განაცხადა ბოკერიამ.

ასევე, გიგა ბოკერიას თქმით, მოლაპარაკებისას მნიშვნელოვანი იყო, რომ რუსეთს ვერ მოეხერხებინა საქართველოს წარმოდგენა, როგორც პრობლემების შემქმნელი და მხარისა, რომელიც გამოსავალს არ ეძებს და პრობლემებს უქმნის ევროკავშირსა და სხვა პარტნიორებს. ამიტომ, ბოკერიას განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ეფექტური დიპლომატიური სამუშაო, როცა რუსეთის ფედერაცია გარკვეულ მდგომარეობაში ჩადგა. კერძოდ, მათი უარის თქმა საქართველოსა და შვეიცარიული მხარის შეთავაზებულ ვარიანტზე, პრაქტიკულად საქართველოს ზაინს ველარ მიაყენებდა და ეს რუსეთის ფედერაციის არჩევანი იქნებოდა.

ბოკერიას შეფასებით, სწორედ ასეთი დიპლომატიური ძალსიხმევის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო მონიტორინგის მათთვის აქამდე მიუღებელ ასპექტზე დათანხმდა. „ეს იყო საკვანძო მომენტი და ამით იყო გამოწვეული ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის უცნაური პერიოდი ყოყმანისა“, – განაცხადა ბოკერიამ და დასძინა, რომ ამ პროცესის შედეგად საქართველომ მიიღო ის, რაც მის გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებში შედიოდა. მისი თქმით, საქართველო გამოჩნდა, როგორც გონიერი და მოქნილი პარტნიორი ცივილზებული სამყაროსი, რომელიც ისე ეძებს გამოსავალს, რომ პირველ რიგში მის ეროვნულ ინტერესებს იცავს.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიძინა ივანიშვილი: „ბავშვებს უფასო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას მივცემთ“

## ივანიშვილმა „ფეისბუქში“ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო

შალვა ჯოხაძე

„ფეისბუქში“ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ გვერდზე სპეციალურად გახსნილ ფორმუში ამ სოციალური ქსელის მომხმარებლები კითხვებს ტოვებენ. უკვე ასობით კითხვაა დაგროვილი და ბიძინა ივანიშვილმაც მათზე პასუხების გაცემა დაიწყო. თუმცა, საეჭვოა, რომ თითოეულ მათგანზე შეძლოს საკუთარი მოსაზრების გამოქვეყნება, ეს ფიზიკურადაა შეუძლებელი. როგორც ჩანს, ივანიშვილმა და მისმა თანაშემწეებმა შეკითხვების კლასიფიკაცია მოახდინეს და იმ ძირითად საკითხებზე, რაც დღეს საქართველოს მოსახლეობას აღელვებს, ეტაპობრივად გაეცემა პასუხები. რასაკვირველია, დღეს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად ქვეყანაში სოციალური საკითხები, გაჭირვება და უმუშევრობა რჩება. შესაბამისად, ივანიშვილმაც თავის მომავალ ამომრჩეველთან საუბარი ამ თემებით დაიწყო.




მაშ ასე, საინტერესოა, რა კითხვები აქვს ხალხს და რას პასუხობს მათ ბიძინა ივანიშვილი:

***— თქვენ თქვით, რომ ხალხს ასაქმებს ბიზნესი და არა მთავრობა, ბიზნესი ითხოვს 35 წლამდე ინგლისურის მცოდნეებს, რა ქნან უფროსი ასაკის ადამიანებმა, პროფესიონალებმა და ქართულის მცოდნეებმა?***

— ინგლისურის ცოდნა უდავოდ კარგი საქმეა. ყველა ასაკის ადამიანი უნდა სრულყოფდეს უცხო ენის ცოდნას ყოველდღიურად. თუმცა, სახელმწიფო ენის ცოდნა საქართველოში საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ კომპეტენტურმა ადამიანებმა და კარგმა პროფესიონალებმა შესაფერისი სამსახური იშოვნონ და დასაქმდნენ. ვფიქრობ, სამუშაო ადგილების დასაკავებლად ასაკს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მთავარი ყურადღება ექცეოდეს პიროვნების კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. ჩემთვის ხელისუფლების დღევანდელი მიდგომა ამ საკითხისადმი ფაქტობრივად დისკრიმინაციაა, რომელსაც ჩვენი მთავრობა არ დაუშვებს.

***— რა ეშველება ახალგაზრდობას, რომელთაც პატრონი არ ჰყავს, რა ქნან, სად დასაქმდნენ?***

— ჩემი პასუხი ასეთია: პატრონის ძიება უნდა დამთავრდეს. საქართველოს ჰყავს ერთი პატრონი — ხალხი. ახალგაზრდობა ხალხის, საზოგადოების ნაწილია. დღეს ახალგაზრდობას აწუხებს 2 მთავარი პრობლემა — ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება და დასაქმება. სამუშაო ადგილების შექმნა ჩვენი მთავრი გეგმაა, ეს სამუშაო ადგილები შეიქმნება ყველასთვის, საზოგადოების ყველა ფენისთვის.

***— უმუშევრებს კომპენსაცია ხომ სჭირდებათ?***

— კომპენსაცია უმუშევრობისთვის აუცილებლად უნდა არსებობდეს, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ასეთი კომპენსაცია უნდა შეწყდეს და რაც მთავარია — უნდა წავახალისოთ უმუშევარი ადამიანის მისწრაფება — იშოვოს სამუშაო, დასაქმდეს თუნდაც სეზონურ ან დროებით სამუშაოებზე, ხოლო ასეთ შესაძლებლობას შრომის მოქნილი ბაზრის მეშვეობით მას სახელმწიფო უნდა აძლევდეს.

***— მარჩენალდაკარგულთა პენსია დღეს 65 ლარია, რისი გაკეთება შეიძლება?***

— 65 ლარი, რა თქმა უნდა, ცოტაა. რაღაც უნდა გაკეთდეს, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, მაგრამ რა — აქაც სპეციალისტებს უნდა მოვეთათბიროთ და იმაზეც ვიფიქროთ, რის საშუალებას მოგვცემს ქვეყნის ბიუჯეტი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სახის პენსიის, დახმარების თუ შემწეობის დანიშვნისას უნდა გავითვალისწინოთ საარსებო მინიმუმთან მისი შესაბამისობის საკითხი, იმ აზრით, რომ სასურველია, როგორც მინიმუმ, ის არ იყოს საარსებო მინიმუმზე დაბალი.

***— მაღალი გადასახადებისა და დაბალი პენსიის პრობლემა როგორ მოგვარდება?***

— აქ ალბათ გულისხმობთ კომუნალური გადასახადების მაღალ დონეს. გადასახადები უნდა იყოს ადეკვატური და, რაც მთავარია, მოქალაქეებს, ოჯახებს უნდა შეეძლოთ მათი გადახდა. გადასახადები, რა თქმა უნდა, გადაიხედება და მათი ოდენობა ექსპერტების მიერ მიზანშეწონილობის დასაბუთების და რეალური დანახარჯების შემთხვევაში დადგინდება. ეს საკითხი, ისევე როგორც დაბალი პენსიის პრობლემა, მოგვარდება ეკონომიკის განვითარების, ადამიანების რეალური შემოსავლების ზრდის კვალდაკვალ. ამ საკითხების დაყენებისას ჩვენ ასეთი მიდგომით ვიხელმძღვანელებთ. როცა მინიმალური სახელმწიფო პენსია საარსებო მინიმუმზე დაბალია, ეს დაუშვებელია და ეკონომიკური ზრდის პარალელურად, რაც შეიძლება მალე, ასეთი ვითარება უნდა შეიცვალოს და გამოსწორდეს. პენსიონერის, შრომისუუნარო ადამიანის თუ ინვალიდის ყოველთვიური შემოსავალი, ადამიანის რომელსაც სხვა საარსებო წყარო არ გააჩნია, საარსებო მინიმუმზე დაბალი არ შეიძლება იყოს.

***— რამდენშვილიანი დედა ჩაითვლება მრავალშვილიანად, მიიღებენ თუ არა ისინი რამე დახმარებას, ექნებათ თუ არა შეღავათები?***

— დღევანდელი მძიმე რეალობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მრავალშვილიან დედად შეიძლება ჩაითვალოს სამი და მეტი შვილის პატრონი ქალბატონი. აქვე დავამატებდი, რომ უმჯობესია, ვისაუბროთ მრავალშვილიან ოჯახებზე და მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მარტოხელა დედაც ოჯახია და მარტოხელა მამაც, ან როცა ბავშვებს ზრდიან ბებია-ბაბუები, სხვა მათ აღზრდაზე პასუხისმგებელი და მზრუნველი ადამიანები. ეს აქტუალური და საინტერესო თემაა, რომელსაც ბევრი ასპექტი აქვს და ასევე მოითხოვს ღრმა ანალიზს სოციოლოგებისა და დემოგრაფების, სხვა დარგების სპეციალისტების მხრიდან.

მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება და შეღავათები სახელმწიფოს მხრიდან უნდა ჰქონდეთ. იმავდროულად, თავისი სიტყვა უნდა თქვან საქველმოქმედო ორგანიზაციებმა და შესაბამისმა კერძო ფონდებმა. მათ კი ხელსაყრელ პირობებს შევუქმნით საქმიანობისთვის.

***— თუ იქნება სახელმწიფო პროგრამები ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის?***

— უეჭველად. ეს არის ავადმყოფთა, ადამიანების განსაკუთრებული ჯგუფი და მათზე ზრუნვა, ისე როგორც საერთოდ, სხვა მძიმე სენით შეპყრობილ ადამიანებზე, აუცილებელია. ჩვენ უნდა გვქონდეს სახელმწიფო და ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ასეთ ადამიანებს გასაჭირში არ მიატოვებს.

***— სახელმწიფო დაფინანსების საშუალო სკოლები თუ შენარჩუნდება, როგორი იქნება მიდგომა (კონცეფცია) განათლების სისტემისადმი?***

— მიმაჩნია, რომ განათლების მიღების შესაძლებლობა ჩვენი ბავშვების კონსტიტუციური უფლებაა. სახელმწიფოს დაფინანსებით განათლების მიღება, ჩემი აზრით, არა მარტო ბავშვებს უნდა შეეძლოთ საჯარო სკოლებში, არამედ ახალგაზრდებსაც უმაღლეს სასწავლებლებში. უსწავლელი, გაუნათლებელი ადამიანი საზოგადოების პრობლემაა. ამიტომ, განათლების შესაძლებლობა, მათ შორის მაღალი დონის ეგრეთ წოდებული „უფასო“ განათლების მიღების უფლება ბავშვებს უნდა ჰქონდეთ.

***— უნდა ფლობდეს თუ არა უცხოელი მოქალაქე ან კომპანია საკონტროლო პაკეტს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სტრატეგიულ ან არასტრატეგიულ კომპანიებში?***

— რაც შეეხება „სტრატეგიულ ობიექტებს“, ასეთ ცნებას დღევანდელი ქართული კანონმდებლობა არ იცნობს. ჩვენ ჯერ უნდა გავარკვიოთ, აღვადგინოთ და შემოვიღოთ თუ არა „სტრატეგიული ობიექტის“ ცნება და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ შეიძლება თუ არა სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტებს, ანუ ფაქტობრივად სტრატეგიულ ობიექტებს ფლობდნენ უცხოელი მოქალაქეები, ან გნებავთ, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები. დღეს ქართულ კანონმდებლობაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ჩამონათვალი იმ ობიექტებისა, რომელთა გაყიდვაც არ შეიძლება: წიაღი; წყლის რესურსები; ტყის ფონდი; სახელმწიფო ნაკრძალები; განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუზეუმო კოლექციები და ფონდები; განსაკუთრებული მნიშვნელობის ასაფრენ-დასაფრენი ზოლები; განსაკუთრებული მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა; საძოვრები; პირუტყვის გადასაკეთი ტრასები; ისტორიული ძეგლები და სხვა. თუმცა, რეალურად მათი გასხვისება ხდება გრძელვადიანი იჯარის ან სხვა შემოვლითი გზით. ეს საკითხიც უნდა დარეგულირდეს ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

# მიხეილ სააკაშვილს ივანიშვილი ფორმის შენარჩუნებაში ეხმარება

შორენა გონგლაძე

ორთვიანი მოჩვენებითი სიმშვიდის შემდეგ სააკაშვილი დუმილს არღვევს. როგორც იქნა, ქვეყნის პირველმა პირმა ქვეყნის პირველი მილიარდელისთვისაც მოიცალა. მიხეილ სააკაშვილმა ივანიშვილთან დაკავშირებით პირველი კომენტარი ბრიტანული გამოცემა „ეკონომისტთან“ გააკეთა.

„ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, ფორმას არ გვაკარგვინებს“ —განაცხადა სააკაშვილმა. მართალია სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია რა იგულისხმა ფორმის შენარჩუნებაში, მაგრამ ცხადია, რომ მთელი ინტერვიუს მანძილზე აქტიურად ცდილობდა ივანიშვილის გამოწვევის კომენტირებისას ფორმა რა დაეკარგა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს მშვიდად უყურებს“, სააკაშვილმა როგორც ჩანს, სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა, რაც მისი ტიპაჟიდან გამომდინარე შორიდანაც კარგად ჩანს, რომ ეს სიმშვიდე დიდი ნერვების ფასად დაუჯდა.

როგორც გამოცემა წერს, „სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო ნორმალურ ადგილს ემსგავსებოდა და მისი პოლიტიკა მოსაწყენიც კი ხდებოდა, ქვეყნის ყველაზე მდიდარი და იდუმალებით მოცული ადამიანი პოლიტიკურ ავანსცენაზე ხმაურით გამოვიდა“.

„ქართულ სოფელში დაბადებულმა ივანიშვილმა ქონება რუსეთში, საბანკო, სასტუმრო და სამთო ბიზნესით დააგროვა. 2003 წელს ის საქართველოში დაბრუნდა. სამშობლოში ის ფარულ ქველმოქმედებას ეწეოდა. მან ქვეყნის ყველაზე დიდი საკათედრო ტაძარი ააშენა. ივანიშვილს საქართველოში ისეთი დემოკრატიის დამკვიდრება უნდა, რომელიც „მსოფლიოს გააოცებს“, მაგრამ მისი მოტივები ბუნდოვანია: მიილტვის ის ძალაუფლებისკენ? იქნებ, კრემლის შიში (ან იქნებ მხარდაჭერა) ამოძრავებს, თუ მას მართლაც კარგი უნდა სამშობლოსათვის? ივანიშვილი საქართველოზე ისე ლაპარაკობს, თითქოს ეს სარისკო კაპიტალდაბანდება იყოს, რომელსაც ერთი-ორი წლით სათავეში ჩაუდგება, დამოუკიდებელ სასამართლოს, თავისუფალ პრესას დაამკვიდრებს და კარგ მენეჯერებს დაასაქმებს“, — წერს „ეკონომისტი“ და კახა ბენდუქიძის სიტყვები მოჰყავს, რომ „ის ამ საქმეს ისე უყურებს, როგორც კონკურენტი კომპანიის დაუფლებას“.

ამასთან, „ეკონომისტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ივანიშვილი 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას სეპარატისტული რეგიონების — ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გამო გმობს, მაგრამ ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს, ხოლო რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინზე ლაპარაკისას ფრთხილობს“.

რაც შეეხება სააკაშვილს, გამოცემის შეფასებით, „სააკაშვილი უფრო რეფორმატორია, ვიდრე დემოკრატი: საქართველოს სასამართლოს თავისუფლება აკლია, პოლიცია პოლიტიზებულია, პარლამენტი მთავრობის ნების შემსრულებელია, ბუნდოვანია, ვის ეკუთვნის მედიასაშუალებები, მთავრობა კრიტიკის მიმართ არატოლერანტულია, მაგრამ სააკაშვილმა არშემდგარი სახელმწიფო აქცია თანამედროვე ქვეყნად, რომელსაც ლიბერალური ეკონომიკა და ძლიერი საკრედიტო რეიტინგი აქვს“.

„სააკაშვილი თავის მოწინააღმდეგეს მშვიდად უყურებს და ამბობს, „ივანიშვილი ჩვენთვის კარგიცაა, — ფორმას არ დაგვაკარგვინებსო“. დამკვირვებლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს პოლიტიკას მეტი კონკურენცია სჭირდება, მაგრამ ახალი აჯანყება არ აწყობს“, — წერს „ეკონომისტი“.

სტატიაში ქართული ოპოზიციის სისუსტეზე და მის უუნარუბაზეცაა ლაპარაკი:

„ივანიშვილს საქართველოში ისეთი დემოკრატიის დამკვიდრება უნდა, რომელიც მსოფლიოს გააოცებს, მაგრამ მისი მოტივები ბუნდოვანია: მიილტვის ის ძალაუფლებისკენ? იქნებ კრემლის შიში (ან იქნებ მხარდაჭერა) ამოძრავებს? თუ მას მართლაც კარგი უნდა სამშობლოსათვის? „შვილი დამემუქრა, შენ თუ არ მოხვალ პოლიტიკაში მე მოვალო“ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ოპოზიცია „შეისწავლა“ მის „უუნარობაში“ დარწმუნდა. თუმცა ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისგან დახმარებასაც ელოდა, მათ შორის ირაკლი ალასანიასგან, საქართველოს ყოფილი ელჩისგან გაეროში.

სამშობლოში ის ფარულ ქველმოქმედებას ეწეოდა. მსახიობებს ხელფასებს უხდიდა, ეკლესიებს და მუზეუმებს რესტავრაციას უკეთებდა. მან ქვეყნის ყველაზე დიდი საკათედრო ტაძარი ააშენა. მთის მწვერვალზე წამოჭიმულ მის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც არც ვერტმფრენის ასაფრენი მოედანი აკლია და პატარა ჩანჩქერიც კი აქვს, პირადი დაცვის მცირე არმია იცავს ისე, თითქოს ის ჯეიმს ბონდზე გადაღებული ფილმის პერსონაჟია.




ივანიშვილი გმობს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას სეპარატისტული (და როგორც ამ ბოლო დროს არჩევნებმა გვაჩვენა, კვლავაც პრობლემური) რეგიონების, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გამო, მაგრამ ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს. რუსეთის პრემიერ-მინისტრზე, ვლადიმერ პუტინზე ლაპარაკისას ივანიშვილი ფრთხილობს. იგი აცხადებს, რომ საქართველო რუსეთზე ბევრად უფრო ნაკლებად დემოკრატიული ქვეყანაა და მეზობლის დამოძღვრის უფლება არ აქვს. დასავლეთთან დაკავშირებით კი ამბობს და „არავის არ უნდა რუსეთი საქართველოს გამო გადაიკიდოს“.

სააკაშვილი უფრო რეფორმატორია, ვიდრე დემოკრატი. საქართველოს სასამართლოს თავისუფლება აკლია, პოლიცია პოლიტიზებულია, პარლამენტი მთავრობის ნების შემსრულებელია, ბუნდოვანია, ვის ეკუთვნის მედიასაშუალებები და მთავრობაც არატოლერანტულია კრიტიკის მიმართ. მარგამ სააკაშვილმა არშემდგარი სახელმწიფო აქცია თანამედროვე ქვეყანად, რომელსაც ლიბერალური ეკონომიკა და ძლიერი საკრედიტო რეიტინგი აქვს. დამკვირვებლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს პოლიტიკას მეტი კონკურენცია სჭირდება, მაგრამ ახალი აჯანყება არ აწყობს.

ივანიშვილი აცხადებს, რომ მომავალ წელს, არჩევნებზე პარლამენტში უმრავლესობით „ნამდვილად“ მოვა. მას პრემიერ-მინისტრობაზე უჭირავს თვალი, თუმცა მისი პოპულარობა რეიტინგის მიხედვით მხოლოდ 17%-ს აღწევს, სააკაშვილის პარტიას კი 42% აქვს. თავად სააკაშვილის საქმიანობის რეიტინგი კი კიდევ უფრო მაღალია. მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ ივანიშვილი ხმების უმრავლესობას ვერ წაართმევს, მაგრამ შიშობს, რომ არჩევნების შედეგებზე ქუჩაში ატეხავს დავას. ივანიშვილი მტკიცედ იმეორებს, რომ რევოლუციის სურვილი არ აქვს, მაგრამ აზრის შეცვლა ახასიათებს. სულ ცოტა ხნის წინ ის პარლამენტში სააკაშვილის იმპიჩმენტს ითხოვდა. ახლა კი ამბობს, „პრინციპში არა მგონია იმპიჩმენტი მოვინდომო“. იშვიათად ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უნდა რიგით ქართველს.“ — ნათქვამია სტატიაში.

გამოცემა მთავარ აქცენტს ივანიშვილის ფინანსურ მდგომარეობაზე აკეთებს და წერს, რომ ივანიშვილის მთავარი ხიბლი მის სიმდიდრეშია.

„ივანიშვილის მთავარი მიმზიდველობა სიმდიდრეშია. არის იმის საფრთხე, რომ საქართველო მასში ახალ მხსნელს დაინახავს. ინტელიგენციის და გავლენის მქონე ქართული ეკლესიის მხრიდან მას მხარდაჭერა აქვს. ყველაზე დიდ რისკს მისი გამოწვევა კი არ წარმოადგენს, არამედ ის პასუხი, რომლის პროვოცირებაც შეიძლება, მან მოახდინოს. საქართველოს მთავრობამ საბაბი გამონახა და ივანიშვილს (და მის მეუღლეს) მოქალაქეობა ჩამოართვა, მისი ბანკიდან კი მილიონობით დოლარის კონფისკაცია განხორციელდა. ყველაფერს ამას დევნის და პანიკის ელფერი აქვს. საკითხავი ისაა, რა მოხდება მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ვადა ამოიწურება. სააკაშვილის საქციელი ჯერ არ მიანიშნებს იმაზე, რომ ის რუსეთის და პუტინის მაგალითის გამეორებას აპირებს, რადგან მან იცის, რომ ეს მის რეპუტაციას და მემკვიდრეობას გაანადგურებს. „მისთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება საქართველო მისი მმართველობის შემდეგ, ვიდრე ის, პირადად თვითონ რას გააკეთებს“, — ამბობს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, მაგრამ სააკაშვილის მემკვიდრეობა მისი კურსის და გუნდის დარჩენაზეა დამოკიდებული, შესაბამისად, ამისათვის ივანიშვილის გაჩერებაა საჭირო“, — წერს „ეკონომისტი“ და დასძენს, რომ „მომავალი ორი წელი შეიძლება, მოსაწყენი სულაც არ აღმოჩნდეს“.

# ანქვაბიც კორუმპირებული ყოფილა

## ვის დასჯიან აფხაზეთში შეჭმული მილიონების გამო

თეა მარხვაიძე

წლის დასაწყისში აფხაზეთში დიდი ამბები დატრიალდა. აქაურმა ჩინოვნიკებმა ათეულობით მილიონი რუსული რუბლი გააქრეს. არადა ეს თანხა აფხაზეთში მთელი რიგი ობიექტების აღდგენას უნდა მოხმარებოდა. თანხა. რომ არამიზნობრივად დაიხარჯა ამასთან დაკავშირებით ადგილობრივმა ოპოზიციამ ბევრჯერ გაინერვიულა თავი.

მათი მოთხოვნით სპეციალური საპარლამენტო კომისიაც კი შეიქმნა. დარღვევები და გაფლანგული მილიონები კომისიამ აღმოაჩინა. დამნაშავე არ დასაჯეს.

ანქვაბის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გაჩნდა ვარაუდი, რომ ის დამნაშავეებს გამოავლენდა. წესით მან ბევრი რამე უნდა იცოდეს. სხვა




თუ არაფერი ამ წლებში მას ხანაც პრემიერის, ხანაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

გამქრალი მილიონების სკანდალს აქტიურად ეხმაურებოდნენ ქართველი ექსპერტები და კონკრეტულად „ექსპერტთა კლუბი“. „ექსპერტთა კლუბის“ ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი წელს გამვითარებულ მოვლენებს საინტერესის უწოდებს.

– 2011 წელი საკმაოდ აქტიური გამოდგა აფხაზური საზოგადოებისათვის. იმდენი რამ, რაც ამ ერთ წელიწადში მოხდა, იქ არ მომხდარა ერთდროულად ბოლო 20 წლის განმავლობაში. ყველაფერი კი წლის დასაწყისში რუსეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარის სერგეი სტეპაშინის ვიზიტით დაიწყო. ეტყობა, სტეპაშინს არცთუ კარგი ფეხი ჰქონია, ვინაიდან ქაოსი და ბუნტი და დაუბედა აფხაზებს, – წუხს აფხაზურ გაუგებრობებზე ქართველი ექსპერტი.

ის იხსენებს რუსი კონტროლიორების ვიზიტს აფხაზეთში. იანვრის თვეში სოხუმს რუსეთის კონტროლის პალატის დელეგაცია ესტუმრა. მიზანი – რუსეთის მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის შემოწმება გახლდათ, რომლის შედეგად აღმოჩენილ იქნა დარღვევა 300 მილიონი რუბლის ოდენობით.

ამის გამო აფხაზურმა ოპოზიციამ ძალიან გაიხარა. ეგონათ, დამნაშავე ჩინოვნიკებს დასჯიდნენ.

– აფხაზური ოპოზიციის სიხარული ნაადრევი გამოდგა. სტეპაშინის დასკვნაში მითითებული იყო, რომ ამ ფულის გაქრობა არა გაფლანგვით, არამედ ობიექტური მიზეზით – გაძვირებით იყო გამოწვეული, ვინაიდან დაგეგმარების პროცესში გამოყენებული ნორმატივები ჯერ კიდევ 1995 წელს იყო დადგენილი, – იხსენებს ცქიტიშვილი.

საინტერესოა, რომ აფხაზეთში განხორციელებულ რუსულ პროექტებს კურირებას უწევდა ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მთავრობას.

სტეპაშინის დასკვნის გამო, ბაღაფშის ხელისუფლებამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ოპოზიცია გაცხარდა.

– აფხაზმა დეპუტატმა რიტა ლოლუამ გაფლანგვისა და კორუფციის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი დაასახელა. მას შეუერთდა ცნობილი ოპოზიციონერი იაკუბ ლაკობა, რომელმაც ლოლუას მიერ დასახელებული ფაქტები მორიგი რეალობით შეავსო. მიუხედავად დიდი სურვილისა, ბაღაფშის ხელისუფლებას არ გამოუვიდა ამ საქმის ჩაფარცხვა და საკმაოდ დიდი ანტისამთავრობო ტალღა აგორდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ზოგიერთი გამონათქვამი სტეპაშინის შეურაცხყოფად იქნა აღქმული. ამისათვის ლაკობა კიდეც დაიჭირეს, თუმცა მიზეზი არა სტეპაშინის დაცვა, არამედ საზოგადოებრივი ყურადღების სხვა საკითხზე გადატანა იყო. ამასობაში კი სერგეი ბაღაფშის ხელისუფლება, რომლის ერთერთ ყველაზე გავლენიან პირს სწორედ ალექსანდრე ანქვაბი, აფხაზეთის დღევანდელი ლიდერი წარმოადგენდა, ყველანაირად ცდილობდა დაერწმუნებინა როგორც საკუთარი ოპოზიცია, ისე რუსი გადამხდელები, რომ მათ სწორად დახარჯეს ფული. საკუთარი თავის გამართლების პროცესში კი ის თვით იმ რუსულ კომპანიებს უყენებდა ბრალდებას გაფლანგვაში, რომლებიც ახორციელებდნენ პროექტებს. როგორც ბაღაფშმა ერთერთ ინტერვიუში განაცხადა, რუსული კომპანია თვითონ ადგენდა ხარჯთაღრიცხვას, აფხაზური რეჟიმი კი მხოლოდ ფულსურიცხავდა. ნეტავ, კონტროლი ვის უნდა გაეწია? ალბათ კურატორს, – ირონიულად აღნიშნავს ქართველი ექსპერტი.

ირაკლი ცქიტიშვილს ძალიან საინტერესოდ ეჩვენება ის ფაქტი, რომ ახლა ანქვაბი მის მიერვე მიჩქმალულ ფაქტებს იძიებს.

– ახალმა „პრეზიდენტმა“ კი ახლებურად დაიწყო დაგვა. რაც ყველაზე საინტერესოა, სწორედ იმ ფაქტებს მიადგა, რომელიც თავის დროზე ოპოზიციამ თანხების გაფლანგვის დასტურად დადო და რაც სტეპაშინის მიერ „გაძვირებად“ იქნა შეფასებული. მაშინ ანქვაბი ჩუმად იყო, არაფერი უთქვამს. ან რა უნდა ეთქვა, როდესაც ეს თანხები მისი ხელიდან გადიოდა. ერთერთი ფაქტი, რომელიც ფინანსურ დარღვევებს უკავშირდებოდა და იაკულ ლაკობას მიერ იქნა გაჟღერებული, კომპანია „აფხაზეთის წყალკანალის“ საქმიანობას ეხებოდა. ლაკობას მონაცემებით, კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ აფხაზი მაღალჩინოსნების შვილები – დ.ა. ადლეიბა, ბაღაფშის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის შვილი, და ი.რ. ქიშმარია, ბაღაფშის წარმომადგენლის გალის რაიონში რუსლან ქიშმარია ვაჟიშვილი. ეს კომპანია იყო დაქირავებული გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მიერ, რომელსაც ბაღაფშის ფავორიტი ქეცბა ხელმძღვანელობდა, და რომელსაც ევალებოდა გაგრის წყლით მომარაგების სამუშაოების ჩატარება. პროგრამის შესრულებაზე კონტროლი ევალებოდა ერთერთი დამფუძნებლის მამას – ბაღაფშის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ადლეიბას. შედეგად, „აფხაზწყალკანალ-სერვისის“ მიერ პროექტირების საფასური 54 მილიონი მანეთით იქნა გაზრდილი, ხოლო კომპანიისთვის გადარიცხულ იქნა 57 მილიონი მანეთი, – წერს ცქიტიშვილი.

მისი თქმით, პირველი, რაც ანქვაბმა გააკეთა „პრეზიდენტად“ მოსვლის შემდეგ, მოხსნა თანამდებობიდან ქეცბა. შემდეგ კი გამოძიება პროკურატურას გადაულოცა, რომელმაც კომპანიის გენერალური დირექტორის ზაბოლოტსკის და მთავარი ბუღალტრის დ.დ. საბეკიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ოფიციალურად – 5 619 621 რუბლის ოდენობის მოგების გადასახადის გადაუხდელობის გამო.

„აფხაზეთის წყალკანალის“-ის ირგვლივ არაერთი საინტერესო ფაქტი მოიძებნება. მაგალითად, რუსული ტელეარხის ინფორმაციით, გაგრის სასმელი წყლით მომარაგებას ყუბანელი სპეციალისტები ახორციელებდნენ, გეოდეზიური კვლევებიდან დაწყებული წყლის სახლებამდე მიყვანით დამთავრებული.

ცქიტიშვილს აიბტერესებს, რას აკეთებდა ამასობაში აფხაზური კომპანია და რისთვის მიიღო 57 მილიონი რუბლი.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც ანქვაბის პროკურატურამ აღძრა რუსული თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით, ერთობლივ საწარმო „ასსირ“-ს ეხება. მისი დირექტორი გურამ ლადარია ამჟამად დაკავებულია. მას ბრალად ედება 12 925 721 რუბლის ოდენობით თანხების მითვისება, რაც მის მიერ იქნა მიღებული აფხაზური უნივერსიტეტის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან.

ქართველი ექსპერტის ვარაუდით, საეჭვოა, რომ ლადარიას ამხელა ფული მარტოს „შეეჭამა“, თუმცა სხვა ეჭვმიტანილები ჯერ-ჯერობით არ სჩანან.

– ეს ის ფაქტებია, რომელიც ამ ეტაპისთვის გაჟღერდა და „პრეზიდენტის“ თანამდებობაზე ანქვაბის სამთვიან საქმიანობას აღწერს. თუმცა, ამავე დროს, ისინი ბადებენ არაერთ კითხვას – რატომ დუმდა ანქვაბი მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული დანაშაულებების შესახებ ოპოზიცია გაჰკიოდა? თუ ანქვაბი კურატორობდა თანხების განკარგვას, რატომ არ იქნა აღძრული სისხლის სამართლის საქმეები თავის დროზე? რამდენად შეძლებს ანქვაბი შეეხოს ბაღაფშის იმ გარემოცვას, რომელიც საკმაოდ მოხერხებულად „ტეხავდა რუსულ ფულს“? იცოდა კი ანქვაბმა ამ დანაშაულების შესახებ, და თუ არ იცოდა, რატომ არ დაინტერესდა ამ საკითხებით მაშინ, როდესაც ეს მისი კურატორობის სფეროში შედიოდა? რამდენად მისცემს მოსკოვი, და პირველ რიგში ბაღაფშის ყოფილი გარემოცვა ანქვაბს საშუალებას უფრო ღრმად შევიდეს ამ საკითხებში და განახორციელოს მათ მიმართ საგამოძიებო ღონისძიებები? მოინდომებს და შეძლებს კი ანქვაბი დაამსხვრიოს აფხაზეთში ჩამოყალიბებული მითი, რომ ეთნიკური აფხაზის დასჯა არ შეიძლება?, – კითხულობს ქართველი ექსპერტი.

ამით რა გამოდის, ანქვაბიც კორუმპირებული ყოფილა. არადა აფხაზებს როგორ სჯეროდათ, რომ ის წესრიგს დაამყარებდა.

# სააკაშვილის შეწყალება ებრაელ ბიზნესმენებს 70 მილიონი დაუჯდათ

შალვა ჯოხაძე

ქართულ ციხეში გამოკეტილი ებრაელი ბიზნესმენების რამდენიმეთვიანი კოშმარი დასრულდა, ისინი უკვე თავისუფალი არიან. გამოდის, რომ ციხეში ეს ადამიანები ფაქტობრივად, მძევლებად ჰყავდათ. მას შემდეგ, რაც საარბიტრაჟო დავა დასრულდა და ჩვენმა ხელისუფლებამაც ამ ყველაფრიდან საკმაოდ დიდი სარგებელი ნახა, სააკაშვილმა პატიმრები შეიწყალა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მათი გათავისუფლების გადაწყვეტილება 2 დეკემბერს მიიღო.

– საქართველოს პრეზიდენტმა ისრაელის მთავრობისა და პირადად ისრაელის პრეზიდენტის თხოვნის საფუძველზე – ჰუმანური მოსაზრებების, ასევე ფუქსისა და ფრენკელის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება მათი შეწყალების შესახებ, – განაცხადა პრესსპიკერმა.




### რატომ გაათავისუფლეს რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი

რა მოხდა რეალურად, რატომ გაათავისუფლეს ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი, რომელთაც ციხეში არაადამიანურად ექცეოდნენ?

ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრს, ირაკლი სესიაშვილს საკუთარი მოსაზრება აქვს, რის შესახებაც „ფეისბუქში“ საუბრობს.

– თურმე შეწყალება, როგორც ჰუმანური აქტი, შედგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ბიზნესმენებს სახელმწიფოს სასარგებლოდ 70 მილიონი დოლარი გადაახდევინეს. ამას შეწყალება კი არ ჰქვია, არამედ ქრთამის აღება თავისუფლების სანაცვლოდ, ან თავისუფლების მიყიდვა.

ქურდული წილი დააკისრა მიშამ, სამზე გაყო – 1/3 ბიუჯეტში წავა, 1/3 თავის ჯიბეში, 1/3 დაუტოვა. სამართლიანია.

ბურჯალიანი გამოვიდა და ამაყად განაცხადა, რომ ეს „შეწყალება“ 70 მილიონად გაყიდეს.

შესაძლოა ისეც იყოს, რომ ებრაელებს ფული არ გადაუხდიათ. ისედაც არ იხდიდნენ, უბრალოდ, უარს ამბობდნენ თანხაზე, რომელიც ვალად აქვს სახელმწიფოს მათ მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ იმ 30 მილიონის გადახდევინება სახელმწიფოს დაეკისრება არჩევნების მერე, ეს იქნებოდა შეთანხმების ძირითადი ნაწილი, რომ მიშას დღეს არ მოუხდეს მისი საარჩევნო ფულის, ანუ ბიუჯეტის ფულის გადახდა.

რა თანხებზეა საუბარი? აი, ამის შესახებ განცხადებას კი თვით იუსტიციის სამინისტრო აკეთებს. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ ხანგრძლივი და ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად 29 ნოემბერს მიაღწია ქვეყნისთვის ხელსაყრელ შეთანხმებას კომპანია „ტრამექს ინტერნეიშენალთან“. კერძოდ, ქართულმა მხარემ საბოლოოდ დაასრულა მრავალწლიანი საარბიტრაჟო დავა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, დავა შეეხებოდა, 1992 წლის 3 მარტს საქართველოს მაშინდელი მთავრობის უკანონო გადაწყვეტილებას, რომლითაც სახელმწიფო კომპანია „საქნავთობმა“ გააფორმა კაბალური ხელშეკრულება კომპანია „ტრამექს ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლებთან – რონი ფუქსსა და იოანის კარდასოპულოსთან. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ერთ კომპანიას, „ტრამექსს“ ქვეყანაში არსებულ გაზისა და ნავთობის ინფრასტუქტურაზე ექსკლუზიური უფლება ეძლეოდა.

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, ერთ წელიწადში, ამავე კომპანიამ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო ქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და მომავალში გაყვანილ ნავთობსადენებზე 30-წლიანი ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულებების სანაცვლოდ, კომპანიას საქართველოს სასარგებლოდ არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. მეტიც, არ შესრულებულა ის მცირედი ვალდებულებები, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. 1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია შეიქმნა, საქართველოში არსებული ნავთობისა და გაზის ინფრასტრუქტურის მართვის სრული უფლება სწორედ ამ კორპორაციამ მიიღო. რის შემდეგაც, კომპანია „ტრამექსის“ წარმომადგენლებმა დაიწყეს დავა მათ მიერ გაფორმებული კონტრაქტების კანონიერების თაობაზე, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟში.

საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, „ტრამექს ინტერნეიშენალის“ წილის მფლობელების – რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპოლუსის სასარგებლოდ, საქართველოს დაეკისრა 98 მილიონი დოლარის გადახდა, რომელმაც მზარდი პროცენტის გამო 110 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქვეყანას თავიდან აეცილებინა მძიმე ფინანსური სანქციები, რომელიც გამოწვეული იყო წინამორბედი ხელისუფლების უკანონო ქმედებებითა და ქვეყანაში იმ დროს არსებული კორუფციით. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ, მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე საერთაშორისო იურიდიულ კომპანიებთან ერთად აწარმოა მოლაპარაკებები და მიღწეულია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დასრულდა მრავალწლიანი დავა. საბოლოოდ, საქართველო გადაიხდის დაკისრებული თანხის მხოლოდ 1/3-ს, შესაბამისად ბიუჯეტიდან დაიზოგა 70 მილიონი აშშ დოლარი, რაც ფინანსური თვალსაზრისით საქართველოსთვის სასარგებლოა. ასეთია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია.

ალბათ, ოდესმე პასუხი გაეცემა კითხვას, თუ რატომ ექცეოდნენ დაკავებულ ბიზნესმენებს ციხეში ასე არაადამიანურად. შეგახსენებთ, რომ რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ბათუმში აიყვანეს. ოფიციალური ვერსიით, ებრაელმა ბიზნესმენებმა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ავთანდილ ხარაიძეს ქრთამის სახით 7 მილიონი დოლარი შესთავაზეს, სანაცვლოდ კი ითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებას არ გაესაჩივრებინა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ფუქსისა და ფრენკიელის სასარგებლოდ 98 მილიონი დოლარის გადახდას ავალდებულებდა. ამ შეთავაზების შესახებ ხარაიძემ საქართველოს მთავარ პროკურატურას აცნობა, რის შემდეგაც გამოძიება დაიწყო და ოპერაცია დაიგეგმა. ქართველმა სამართალდამცველებმა ებრაელი ბიზნესმენები 14 ოქტომბერს მაშინ დააკავეს, როდესაც ფუქსი და ფრენკელი ხარაიძეს, კიდევ ერთხელ უდასტურებდნენ ქრთამის სახით 7 000 000 აშშ დოლარის გადაცემისათვის მზადყოფნას. ციხეში მოხვედრილ ბიზნესმენებს არათუ უმძიმეს ვითარებაში ამყოფებდნენ, არამედ ამცირებდნენ, ღორის ხორცსაც კი აჭმევდნენ, რაც მათ რელიგიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ზეევ ფრენკელსა და რონი ფუქსზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლასაც ახდენენ, რათა მათგან აღიარებითი ჩვენებები მოეპოვებინათ. ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ ზეევ ფრენკელმა ინფარქტი გადაიტანა. ბიზნესმენის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა დაკავებულის ჯანმრთელობის გაუარესებაში ციხის ადმინისტრაცია დაადანაშაულა. ადვოკატის განცხადებით, ფრენკელი გეგუთის ციხეში გადაიყვანეს, მისთვის განკუთვნილი მედიკამენტები კი ქსნის ციხის ექიმის კაბინეტში დარჩა, რის გამოც პატიმარს გულის პრობლემა შეექმნა. რონი ფუქსი კი აცხადებდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ უარი უთხრა დიაბეტური რაციონის გამოყოფაზე, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ასეა თუ ისე, დღეს ებრაელი ბიზნესმენები თავისუფალი არიან.

– ჯერ დაჭერა, შემდეგ ფულის გამოძალვა და შეწყალება, ეს არის პრეზიდენტის მხრიდან ჩადენილი კრიმინალი. ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო დაიჭირა, რომ ფული გამოეძალა, – აცხადებს ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი.

ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის შეწყალებას ისრაელში საქართველოს ელჩის დანიშვნას უკავშირებს.

ლორთქიფანიძის თქმით, ბიზნესმენების გათავისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობის სამართლებრივი ხასიათის ზეწოლის შედეგია.

– ისრაელი თავის მოქალაქეებს განსაცდელში არ ტოვებს ხოლმე და ახლაც მათი შეწყალება საერთაშირისო თანამეგობრობის და ყველა უფლებადამცველის ზეწოლის შედეგი იყო. ისრაელის მხარე დაკავებულების მიმართ განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც პატიმრებზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არანახული ზეწოლა ხორციელდებოდა, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

# მამუკა გიორგაძე: „ივანიშვილმა პატარკაციშვილის შეცდომები არ უნდა დაუშვას“

თამარ ნინიძე



ვიბრძოლოთ ობიექტური მედიისთვის

დღეს ბეჭდური და ელექტრონული მედია ყოფნა–არყოფნის ზღვარზეა. ხელისუფლება არათანაბარ პირობებში ამყოფებს თავის მიერ კონტროლირებად და ოპოზიციურ მედიასაშუალებებს. „მაესტროსა“ და ბეჭდურ მედიასთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე „ახალ თაობას“ სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე ესაუბრება.

*– როგორია თქვენი შეფასება „მაესტროს“ ირგვლივ არსებულ მდგომარეობაზე?*

– ბუნებრივია, პოლიტიკურად დაძაბულ ვითარებაში ნებისმიერ საინფორმაციო საშუალებას, არათუ ტელეკომპანიას, სოფლის გაზეთსაც კი განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება და, შესაბამისად, ეს დაღს ასვამს მის შიგნით თუ მასზე გარედან მიმდინარე პროცესებს. დღეს ჩვენ სწორედ ამ პროცესების გამოხატულებას ვუყურებთ, როდესაც შიგნით კონფლიქტური სიტუაცია საკმაოდ დაძაბულ ურთიერთობებში გადავიდა, გარედან ზოგს აწყობს ეს ვითარება და ხელს შეუწყობს კიდევაც მოვლენების ასეთ განვითარებას, ზოგი წუხს, განიცდის და მიესალმება, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ის, რაც „მაესტროს“ გარშემო ხდება. ყველა ისე შეაფასებს ამ ვითარებას, რა პოლიტიკური ინტერესიც მას გააჩნია, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაზე დაზარალებული გამოდის რიგითი მაყურებელი, რომელსაც აქვს უფლება და სურვილი, მიიღოს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაცია. დანარჩენები, როგორც უკვე მოგახსენეთ, არკვევენ თავიანთ ადგილს და მდგომარეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

*– სანამ „მაესტროსთან“ დაკავშირებით ეს მოვლენები განვითარდებოდა, მანამდე ხმაური იყო, რომელიც ჯერ არ ჩამცხრალა პრესის გავრცელებასთან დაკავშირებით. ხელისუფლება პრესის შეზღუდვის ახალ გეგმას ახორციელებს. ამაზე რას იტყვით?*

– იგივე თემაა აქაც. ხელისუფლება, რომელსაც მონოპოლიზებული ჰქონდა ტელევიზიები და მიაჩნდა, რომ გაზეთი არ არის ის საშუალება, რომელიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მოახლოებული არჩევნების პირობებში ამკაცრებს თავის დამოკიდებულებას გაზეთებთან მიმართებაში. დღეს აღარ არის ის პერიოდი, როდესაც შეიძლებოდა ჟურნალისტი დაეპატიმრებინათ, ეწამებინათ და მოეკლათ. უშუალოდ ჟურნალისტურ საქმიანობაში ვითომ არ ერევიან, მაგრამ სინამდვილეში ის მექანიზმი, რითიც ჟურნალისტი უნდა გავიდეს საზოგადოების წინაშე, იმ მექანიზმებს უსპობენ. შესაბამისად საკითხი გადააქვთ იმ სფეროში, რომელსაც ბიზნესთან აკავშირებენ, ქალაქის იერსახეზე, ადგილის გამოყოფაზე საუბრობენ, გარდა არსებული რეალური პრობლემისა, ჟურნალისტის უფლებებისა და ადამიანის უფლებებისა, მიიღოს ეს ინფორმაცია.

*– ედუარდ შევარდნაძის პერიოდის პრესა და ახლანდელი რომ შევადაროთ, როდის უფრო იყო პრესა თავისუფალი?*

– დღეს, სამწუხაროდ, მიღებულია შეხედულება, რომ მაშინ უფრო თავისუფალი იყო მედია. მე არანაირი არგუმენტი არა მაქვს ასე ვიფიქრო. მაშინ იმიტომ იყო გარეგნულად ვითომ თავისუფალი მედია, რომ მედიასაშუალებების უმეტესობა, მეპატრონეები და ჟურნალისტები, რომლებიც ასეთი ფორმით სვამენ საკითხს, ერთიანი სახელისუფლებო გუნდის წევრები იყვნენ. ვინც მაშინ თავისუფალი მედია იყო და თავისუფალი ჟურნალისტი, უმეტესი მათგანი მაშინაც შეზღუდული იყო თავისი აზრის გამოთქმაში და ახლაც შეზღუდულია. უბრალოდ, მაშინ ერთი ქუდის ქვეშ იყო ყოველივე ეს, მაშინ ხელისუფლების გარეთ არ იყვნენ წარმოდგენილი ფულიანი ადამიანები, არაპოლიტიკური გავლენის ადამიანები, კლანები, რომლებიც კონკურენციას შეძლებდნენ ამ მოედანზე. დღეს ეს ბრძოლა იმიტომ გახდა ასეთი მძაფრი, რომ ოპოზიციაშიც აღმოჩნდნენ ოლიგარქები, ოპოზიციაშიც აღმოჩნდნენ ამა თუ იმ კლანის წარმომადგენლები. მაშინ ოპოზიციაში ვინც ვიყავით, იგივე „სახალხო პარტია“, არანაირი მექანიზმი არ გვქონდა, შეგვექმნა ჩვენი გაზეთი. დღეს ოქრუაშვილი იქნება, ბურჯანაძე თუ კიწმარიშვილი, ამის შესაძლებლობა აქვთ იმიტომ, რომ ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და ფინანსები და შესაძლებლობები გამოყვათ. ცუდად ნუ გამიგებთ, რადგან „ახალ თაობას“ ვესაუბრები, „თაობა“ რა მდგომარეობაშიც იყო მაშინ, ახლაც იგივე მდგომარეობაშია. არც მაშინ ყოფილა რომელიმე კონკრეტული კლანის რუპორი, არც დღეს არის, მაგრამ ის გაზეთები, მათი მეპატრონეები და ჟურნალისტები, რომლებსაც კოორდინაციას ჟვანია უწევდათ, სახელისუფლებო წრეებიდან, მათთვის ოქროს ხანა იყო. დისკომფორტი არ ჰქონდათ. ისე გალანძღავდნენ „სახალხო პარტიას“ ჟვანიას შეკვეთით, რომ ჩვენ პასუხის გაცემის საშუალება არ გვქონდა. შვიდი წელი პირადად მე ვიყავი პარლამენტის მეორე ფრაქციის თავმჯდომარე, ამ დროის მანძილზე „რუსთავი–2–ზე“ ნამყოფი არა ვარ. ერთხელაც არ ვარ „ღამის კურიერში“ ნამყოფი. არანაირი განსხვავება არ არის ჩემთვის მაშინდელ „რუსთავი–2–სა“ და ახლანდელს შორის. ჩვენს აქტიურობაზე არ არის მიბმული ეს ამბები. იგივე რეჟიმი გრძელდება, რაც იყო შევარდნაძის დროს, უბრალოდ, რეჟიმის შიგნით კლანებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა და ამის ნათელი მაგალითია „რუსთავი–2“ და „მაესტრო“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით შვიდი სუბიექტი აცხადებს პრეტენზიას მის მეპატრონეობაზე. „მაესტროს“ შიგნით იცვლება მეწილეების როლი და ფუნქციები, პარტიიდან პარტიაში გადადიან. ისინი თავიანთ საქმეებს აგვარებენ, ჩვენ და ჟურნალისტები დაჩაგრულები ვართ ამ მდგომარეობაში, ამიტომ არის ერთი და იგივე შევარდნაძის დროს და ახლა. მაშინდელ დროს რომ მისტირიან, კარგად მოგეხსენებათ, ბევრი გაზეთი სახელისუფლებო დაფინანსებას იღებდა გრანტების ფორმით. ეს დაფინანსება ძალიან დიდი იყო, მუქთა ფული მოდიოდა სახელმწიფოსგან, ამის გარდა, კიდევ იყო ათასი სხვა დამატებითი შესაძლებლობები, „რუსთავი–2–ს“ ბუღალტერია საერთოდ არ ჰქონდა. პირდაპირ შავი ფულით მიდიოდა მუშაობა. თითოეული მათგანი თავს პრივილეგირებულად გრძნობდა, არავინ ურტყამდა პანღურს, არავინ იჭერდა მათ იმიტომ, რომ ის ხალხი ნებაყოფლობით ემსახურებოდა იმ რეჟიმს.

*– „მაესტროს“ შეძენის სურვილი სხვადასხვა დროს ჰქონდათ ნოღაიდელს, ბურჯანაძეს, ახლა პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ 2009 წელს მისი შეძენის სურვილი ივანიშვილსაც ჰქონია. როგორ მიგაჩნიათ, პოლიტიკური პარტიების ლიდერები უნდა იყვნენ თუ არა ტელეკომპანიების მფლობელები და მმართველები?*

– მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით თუ რას ნიშნავს ჯანსაღი პოლიტიკური გარემო, თუ რა როლი ენიჭება მედიას დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შევარდნაძის დროს და ახლაც მედიის ძირითადი ნაწილი არის არა ინფორმაციის მიწოდების საშუალება, არამედ პროპაგანდისტული საშუალება. რაც თავის დროზე იყო გაზეთი „კომუნისტი“ და სახელმწიფო ტელევიზია, იმ ფუნქციას ასრულებს დღევანდელი მედიის ძირითადი სუბიექტები. ისინი არ ემსახურებიან საზოგადოების ინფორმირებას, არამედ ემსახურებიან თავანთი იდეების პროპაგანდირებას, არღვევენ იმ ძირითად პრინციპს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს პრესა. პრობლემა ის კი არ არის, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან ნებისმიერი სხვა ვინმე იქნება თუ არ იქნება ოფიციალური მფლობელი, მას ეს თავისუფლად შეუძლია გააკეთოს ირიბი გზით. დღეს ვინმემ იცის, ვინ არის „რუსთავი–2–ის“ დამფუძნებელი ან მმართველი? არავინ იცის. მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ არ უნდა გადაიქცეს პრესა პროპაგანდის საშუალებად. ეს მაშინ ამოვარდება ჩვენი ცხოვრების წესიდან, როცა ბოლშევიკური ცხოვრების წესით აღარ წარიმართება ჩვენი ცხოვრება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ბოლშევიკები მართავენ ქართველ საზოგადოებას. ბოლშევიკური ცნობიერების ადამიანები არიან წარმოდგენილი ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში, ამიტომაც მიმდინარეობს ბრძოლა პროპაგანდის საშუალებებისთვის. პრობლემა ის კი არ არის, ექნება თუ არა რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ან ბიზნესკომპანიას მედია საშუალება, არამედ მთლიანად ჯანსაღი გარემო უნდა იყოს და ვერ უნდა გაბედოს და არ უნდა გავაბედინოთ ამა თუ იმ პიროვნებას, რომ მედია ბოლშევიკური მეთოდით გამოიყენოს პროპაგანდისთვის. თორემ, რაც უფრო მრავალფეროვნება იქნება, რაც მეტი განსხვავებული პოზიცია იქნება პრესაში, ამაზე კარგი რა შეიძლება იყოს. დასავლურ პრესას რომ ვეცნობი, მსიამოვნებს ის მრავალფეროვნება, რაც არის მასში.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ აქცენტი გაკეთდებოდა ანალიტიკურ მიმართულებაზე. დღეს რასაც ვუყურებ, არის მიმდინარე საკითხების პროპაგანდისტული შეფასებები.

*– თქვენ ალბათ გახსოვთ, ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე „იმედი“ აკეთებდა მძაფრ და კრიტიკულ სიუჟეტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირთა მხრიდან დანაშაულებრივ ქმედებებზე, ხოლო ბატონ ბადრის პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ პოლიტიკურ განცხადებებს არ ერიდებოდნენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ჟურნალისტებიც კი. ხომ არ არის საფრთხე, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ ჩამოყალიბდეს რომელიმე ტელეარხი მისი ხელმძღვანელობის ქვეშ და აქაც დაიწყოს პროპაგანდისტული და პოლიტიკური განცხადებების გავრცელება?*

– ამის საფრთხე, რა თქმა უნდა, არის, მით უმეტეს, არის მწარე გამოცდილება „იმედთან“ დაკავშირებით. ის სიუჟეტები გახლდათ იმ პიროვნების ხედვების ანარეკლი. დღეს ხომ ყველაფერი „იმედთან“ დაკავშირებით ნათელია, „იმედი“ უკეთებდა მანიპულირებას საზოგადოებრივ აზრს. სანამ ბადრი პატარკაციშვილი თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, მანამდე ე.წ. ლაითი გადაცემები იყო, მერე კი რადიკალური მოწოდებები გაისმოდა იმ არხზე. საბოლოო ჯამში „იმედი“ გადაიქცა პროპაგანდისტულ დაწესებულებად. მათთვის, ვინც ოპოზიციური განწყობილების იყო, ეს მისაღები გახლდათ, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ასეთი პოლარიზაცია და დაპირისპირება ჩვენს გულუბრყვილო ემოციებზე თამაშით იმ ჯგუფმა, რომელიც მაშინ „იმედის“ ეთერში ყოველდღე იყო წარმოდგენილი, გაერთიანებული ოპოზიცია მყავს მხედველობაში, ოთხი წლის განმავლობაში ქანცი გამოაცალა ქართველ ხალხს და მიიყვანა ისეთ კრიზისულ მდგომარეობამდე, როგორშიც ჩვენ ახლა ვართ. მონოპოლიზება გაუკეთდა ოპოზიციურ აზრს. ისე იყო ყველაფერი წარმოჩენილი, თითქოს სხვა აზრი ოპოზიციაში არ იყო, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც გამოდიოდნენ „იმედის“ ეთერით. გაერთიანებულმა ოპოზიციამ ჩაისვარა პოლიტიკაში. მედიის ფუნქცია და როლი არ იყო თავის დროზე სწორად წარმოდგენილი ბადრი პატარკაციშვილის მიერ და მისგან გასუქებული პოლიტიკური ჯგუფისგან მიიღო პირველი წიხლი. ფეხი გადაუბრუნდა თუ არა, ამ ადამიანების ძირითადმა ნაწილმა ჩაარტყა მას დანა ზურგში და მიაყოლა წიხლი. ეს გამოცდილება ყველამ უნდა გაიზიაროს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილმაც, მან უნდა მიიღოს სწორი პოზიცია და იმაზე უფრო დიდ საქმეს ვერ გაუკეთებს ვერავინ საქართველოს, ვიდრე ბრძოლა მართლაც ობიექტური მედიისთვის, რომელიც საზოგადოებას ფიქრის საშუალებას მისცემს. ბიძინა ივანიშვილი დიდ საქმეს გაუკეთებს ქართველ საზოგადოებას და საქართველოს ისტორიაშიც შევა, თუკი შექმნის მოედანს როგორც მედია სივრცეში, ისე საზოგადოებაში იმისათვის, რომ ყველა აზრი თანაბრად იყოს წარმოდგენილი. საზოგადოებას კი ჰქონდეს არჩევანის საშუალება.

*– მოგეხსენებათ, ორპოლუსიანი გახდა პოლიტიკური სპექტრი, თუმცა ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მესამე გზა და მესამე პოლუსიც უნდა შეიქმნას ანუ ამ ორ პოლუსს ვინც არ ეთანხმება, მას არჩევანის გაკეთება შეეძლოს და რომ ეს პოლიტიკისთვისაც სასარგებლოა. თქვენი აზრი როგორია ამ მესამე პოლუსზე?*

– ჯერ პირველმა ორმა გზამ უნდა ჩამოაყალიბოს, რა მიმართულებას მიყვებიან არა ლოზუნგების დონეზე, არამედ კონცეპტუალურად, რა მიმართულებით მიდიან და მათი ნაბიჯები რა მიზანს ემსახურება, პოლიტიკურად დამჯდარი კონცეფციის სახით. რამდენად ესადაგება მათ მიერ დეკლარირებული ლოზუნგი მათ ნაბიჯებს. სააკაშვილი როცა აცხადებს, რომ ებრძვის რუსეთს, გვითხრას, როგორ ჩააბარა მთელი ეკონომიკა რუსეთს. როგორ აღმოჩნდა, რომ 2008 წელს ომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრეც არ გაუუქმა ე.წ. სამშვიდობოებს მანდატი, რატომ იძახდა ლომაია, ცხინვალი აღგვილია პირისაგან მიწისაო, როცა ამ დროს ორიოდე შენობა იყო დაზიანებული. ერთი კაციც კი არ დაღუპულა. სამწუხაროდ, არც ივანიშვილს წარმოუჩენია თავისი პროგრამა, ძირითადად არის კეთილი სურვილები, მაგალითად, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება. ამის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ ამაში რას გულისხმობს, ეს არ არის წარმოდგენილი. ამიტომ რთულია ვიმსჯელოთ, მხარი დავუჭიროთ თუ არა ამ გზას. ხელოვნურად შექმნილი მესამე გზაც რომ შეიქმნას და ისიც გაურკვეველი იყოს? ჩემთვის ეს პოზიცია გასაკვირია. თუ გვინდა ჯანსაღი პროცესები განვითარდეს პოლიტიკაში, ჯერ უნდა მოვითხოვოთ, ამ ხალხმა თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბონ. თუ ამ პოზიციებში რაიმე არ იქნება დამაჯერებელი, მერე გაკეთდეს მესამე, მეოთხე, მეხუთე გზა. მესამე გზაზე საუბრობს ყველა ის, ვინც პიროვნულად ვერ მოხვდა ვერც პირველთან, ვერც მეორე ცენტრთან.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)

# ნანა ხურითი: „ისეთ თეატრში ვერ ვიმუშავებ, სადაც შებოჭილი ვიქნები“

ეკა ირემაშვილი

10 და 12 დეკემბერს თეატრში ათონელზე პრემიერაა. მაია ჯაფარიძე საზოგადოებას წარუდგენს სპექტაკლს „ურჩთა სარეცელი“, რომელიც ცნობილ ქართველ ჟურნალისტს ნაზი შამანაურს და მის დედას ეძღვნება. სპექტაკლში მხოლოდ ორი მოქმედი პერსონაჟია — ნაზი შამანაური და მისი დედა. მათ როლებს დები — ნანა და ლილი ხურითები თამაშობენ. სპექტაკლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია IIის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა.

მას შემდეგ, რაც დიმა ჯაიანს სოხუმის თეატრი დაატოვებინეს, თეატრი 5-მა მსახიობმა დატოვა. მათ შორის იყვნენ დები ხურითები. ლილი ახლა არც ერთ თეატრში არ მუშაობს, ნანა კი ლიტერატურულ თეატრში მოღვაწეობს და პარალელურად, მედიაკავშირ „ობიექტივში“ კულტურის ერთი საათი მიყავს. ნანა ხურითი ობიექტივის ჟურნალისტებს მეტყველებასაც ასწავლის.

როგორც ნაზი შამანაურის როლის შემსრულებელმა ნანა ხურითმა გვითხრა, მისთვის ამ როლის თამაში უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამიტომაც პრემიერისთვის განსაკუთრებულად ემზადება. მსახიობი ამბობს, რომ ყველაფერი სიმბოლურად დაემთხვა ერთმანეთს და იმისიც სჯერა, რომ ამ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება.

სპექტაკლის დადგმის იდეის ავტორი ირმა ინაშვილია, პიესა და წარმოდგენის რეჟისურა მაია ჯაფარიძეს ეკუთვნის. სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე კი ია საკანდელიძემ იზრუნა.

მსახიობი არ მალავს, რომ ასე სპექტაკლზე არასოდეს უმაშავია. ტექსტი მსახიობმა დებმა მობილური ტელეფონით ისწავლეს, სცენაზე კი ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე დადგნენ და სათქმელი მაყურებლამდე მთელი სულით და გულით მიიტანეს.

რა განცდები დაუტოვა ნაზი შამანაურის დღიურმა და როგორია მისი თვალით დანახული სიმართლისთვის დევნილი ჟურნალისტის ცხოვრება, ამის შესახებ ნანა ხურითი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ნანა ხურითი:**

— მაია ჯაფარიძემ მოიტანა პიესა ობიექტივში და როცა ირმა ინაშვილს აჩვენა, მან მაშინვე თქვა, ამ ყველაფერს ხორცი უნდა შევასხათო. მე და ჩემი დაც იმ მომენტში იქ ვიყავით და მაიამ გვითხრა, ამ სპექტაკლში თქვენ უნდა ითამაშოთო. ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

***— გამოდის, საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდით.***

— ზუსტად ასე გამოვიდა. ჩემთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ნაზი იყო ადამიანი, რომელიც სიმართლეს ემსხვერპლა. ხომ ამბობს კიდეც, ჩემი სიმართლე ჩემი მტერიაო. ჩვენ გადავაკეთეთ და სპექტაკლში ვამბობ, ჩემი სიმართლე ჩემი ჯვარიაო. ეს სპექტაკლი ნაზის დღიურების მიხედვით არის აგებული, მთლიანობაში კი ყველა იმ ჟურნალისტს ეძღვნება, რომელიც თავისი სიმართლისთვის ემსხვერპლა საკუთარ პროფესიას. ასეთები კი მთელს მსოფლიოში ათასობით არიან.

***— როდის გაქვთ პრემიერა?***

— ისიც სიმბოლურია, რომ პრემიერას 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს ვთამაშობთ. პლაკატზე იქნება წარწერა, რომ ობიექტივი წარმოგიდგენთ სპექტაკლს. მოხდა სასწაული — მედიაკავშირს აქამდე სპექტაკლი არ დაუდგამს და ფაქტია, რომ ჩვენ დავდგით.

***— როგორია თქვენი გმირი?***

— საერთოდ ასეთი ჩვევა მაქვს — როცა ახალ როლს ვიღებ, სულ წინააღმდეგობაში ვარ მასთან, სულ მინდა ვეძებო, ვეძებო და მივაგნო იმას, რაც ჩემთვის მასში ყველაზე საინტერესოა. ამ შემთხვევაში კი ასე არ მოხდა — არანაირი წინააღმდეგობა არ მქონია ნაზი შამანაურის გმირთან. ალბათ იმიტომ, რომ ერთმანეთს საოცრად ვგავართ. თითქოს ის ჩემს სათქმელს ამბობს. საოცარია მისი სიტყვები — მათ შექმნეს ურჩთა სარეცელი მაღალი სულის მოსათვინიერებლად.

***— ვინ შექმნა?***

— სამყარომ. ეს სპექტაკლი არ არის კონკრეტულად საქართველოზე. ამაში მთელი მსოფლიო იგულისხმება. ჟურნალისტები რაღაცას ეუბნებიან საზოგადოებას, მაგრამ მათ ეს არ ესმით. ამ სპექტაკლში მთავარი ნაზი შამანაურია, მაგრამ დღესდღეობით მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებზე არის ზეწოლა და ამიტომ სწორედ მათ მივუძღვენით სპექტაკლი. ეს არ არის უბრალოდ სპექტაკლი, ეს უფრო ერთგვარი აქციაა, რომლითაც ჩვენს პოზიციას ვაფიქსირებთ. ჩემი გმირი ჩემს სათქმელს ნამდვილად ამბობს.

***— საიდან დაიწყო ყველაფერი?***

— დაწესდა ნაზი შამანაურის მედალი, რომელიც გადაეცემა ყველაზე სამართლიან ჟურნალისტს. წელს სამი ჟურნალისტი დააჯილდოვეს — ნანა ლეჟავა, ელისო ჩაფიძე და სოფო ფაჟავა, ზუგდიდიდან. სხვათა შორის, ნაზი შამანაურის მედლის დაწესებაც საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოხდა. როცა მაია ჯაფარიძემ მოიტანა სცენარი და გადაწყდა მისი დადგმა, თავიდან ეს პიესა მხოლოდ ერთ ადამიანზე იყო, მაგრამ ვინაიდან ნაზისთან ერთად დედამისიც აწამეს, პიესა ორ ადამიანზე გადაკეთდა. მე ნაზი შამანაურს ვთამაშობ, ჩემი და კი — დედამისს.

***— რით მოგხიბლათ თქვენმა ახალმა პერსონაჟმა?***

— ყველაფრით. ის საოცრად ახლოს არის ჩემ სულთან. ნაზი სულ ამბობდა, ჩემი სიმართლე ჩემი მტერიაო და ეს სიმართლეა. სხვათა შორის, ირმა ინაშვილმა გაიხსენა, რომ როცა ნაზი შამანაური დაიჭირეს, ის იმ დროს ჩარგალში იყო. ქალი სცენაზე გამოვიდა, ახალგაზრდა, ლამაზი გოგო, მოიკდეს ხელი და გაიყვანესო. ჩარგალში მაშინ ვაჟაობას ზეიმობდნენ. ეს ირმას მძაფრად დაამახსოვრდა და მაშინ ვერც კი მიხვდა, რას ერჩოდნენ ამ ლამაზ გოგოს.

***— თქვენთვის ეს როლი პასუხიმგებლობაა?***

— რა თქმა უნდა. ხომ ვამბობთ, არასოდეს არ თქვა არასოდესო, მაგრამ გამოცდილი მაქვს საკუთარი თავი რაღაც სიტუაციებში და მივხვდი, რომ კომპრომისზე ვერ მივდივარ.

***— რას გულისხმობთ?***

— ბევრ რამეს. არის საკითხები, რის გამოც კომპრომისზე ვერ წავალ. ჩვენ ოსები ვართ და ოსური კარგად ვიცით. როცა მოამბე უნდოდათ ოსურ ენაზე, დათო დოიაშვილმა ჩვენზე უთხრა ხელმძღვანელობას და დაგვირეკეს. ჩვენ თეატრში ხელფასი გვქონდა 120 ლარი, ტელევიზიაში კი დიდ ხელფასს გვთავაზობდნენ, მაგრამ არ წავედით. კიდევ სხვა პროექტებიდანაც გვირეკავდნენ და ჩვენ უარს ვეუბნებოდით.

***— რატომ, ეს თქვენი პრინციპია?***

— ეს არაფერ შუაშია. მე, მსახიობს, რა მინდოდა ნაციონალური მოძრაობის საინფორმაციო გამოშვებებში? დავმჯდარიყავი და რა მელაპარაკა? თან მსახიობი სხვა არის და დიქტორი - სხვა. მე გადაცემა რომ მიმყავს ობიექტივში, იქ ჟურნალისტი კი არ ვარ, იქ მსახიობი ვარ.

***— კიდევ რას გთავაზობდნენ?***

— ლილის ეუბნებოდნენ კულტურის მინისტრის მოადგილეობას, მანქანა მოგემსახურებაო და რაღაც სისულელეებს. კიდევ კარგი, ალანა გაგლოევა გამოჩნდა, თორემ ცუდად გვექნებოდა საქმე. ბევრ ასეთ რამეზე გვაქვს უარი ნათქვამი.

***— ნანობთ?***

— არა, პირიქით, მიხარია, რომ ახლა არ მაქვს სანანებელი.

***— ვინ გირეკავდათ?***

— აღარც კი მახსოვს, პრეზიდენტის აპარატიდან თუ საიდანღაც.

***— კიდევ რა შემოთავაზება გქონდათ?***

— სულ ბოლოს გვითხრეს, რომ სანაკოევს უნდოდა თეატრალურ უნივერსიტეტში ოსური ჯგუფი გაეხსნა და ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ოსური ენის პედაგოგები. ქართულ მეტყველებას არ ასწავლიან წესიერად თეატრალურში და ოსური ენა ვის რაში სჭირდება?

***— ამაზეც უარი თქვით?***

— რა თქმა უნდა, უარი ვთქვით. ალბათ რაიმე გრანტი ჰქონდათ და საჩვენებელი რაღაც უნდა ყოფილიყო. ჩვენ ფიქრიც კი არ გვჭირდება, ეგრევე უარს ვამბობთ.

***— ჰოდა, იმიტომაც არ ხართ არც ერთ თეატრში.***

— და არც ვნანობთ. რაც სერიალებში მოვასწარი მუშაობა, მოვასწარი და ახლა კი ვარ თავისუფალი. იცით, როგორი ბედნიერი ვარ? კარგია ასე, კარგად ვარ, არავისზე არ ვარ დამოკიდებული. კარგია თავისუფლება. გადაცემა რომ მიმყავს, არავინ მეკითხება, რომელი სტუმარი მომყავს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ. რაიმე ზეწოლა რომ იყოს, ალბათ გავგიჟდები, ზუსტად ვიცი, რომ ვერ ავიტან. ვინც ზეწოლას განიცდის და იტანს, ჩემ თვალში ისიც მაგარია. ყურში რომ მითხრან, აბა, ახლა ასე თქვი, თორემ დატოვებ სამსახურსო, ხომ მოვიხსენი ყური და ავტეხე ერთი ამბავი.

***— სად აპირებთ ამ სპექტაკლების თამაშს, გაქვთ მუდმივი სცენა?***

— ათონელმა უკვე აიღო ეს სპექტაკლი და ჩაჯდა მის რეპერტუარში. 10-ში არის პირველი სპექტაკლი, პრემიერაა და სიმბოლურია, რომ ამ დღეს აღინიშნება ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე. კიდევ 12-ში ვთამაშობთ. ყველას ვეპატიჟებით, ადვოკატებს, არასამთავრობოებს, ყველას. ჩვენს სპექტაკლში ადამიანი იცავს თავის უფლებებს, ამაზეა აქცენტი და წარმოდგენაც დღევანდელობაზეა.

***— სასულიერო პირებს არ ეპატიჟებით სპექტაკლზე?***

— ირმა ინაშვილი იყო უწმინდესთან და ლოცვა-კურთხევა გვაქვს. მისი ლოცვით დავდგით ეს სპექტაკლი. ახლა შობის მარხვაა და არ ვიცით, მობრძანდება თუ არა მისი უწმინდესობა, თუმცა სამების ტაძრის მამაოები აუცილებლად მოვლენ. მამა თეიმურაზმა გვითხრა, 14 წლის ვიყავი, როცა ნაზის დღიურები წავიკითხეო. მამა პეტრეა სამებაში და მასაც ველოდებით. თუ მარხვაში მოახერხა, უწმინდესიც მობრძანდება. სპექტაკლებს კი ვითამაშებთ ათონელზე.

***— რატომ მაინცდამაინც ნაზი შამანაური?***

— ჩვენ გვინდა ვიყოთ გამაერთიანებელი ადამიანებისა და მათ საერთო შეხება ჰქონდეთ იმ სატკივართან, რომელიც ყველას დღეს გვაწუხებს. მინდა ვიყო ისეთი, როგორიც იყო ნაზი. ყველაზე საოცარი იცით რა არის ამ დღიურში? თვითონ რომ საშინლად აწამებდნენ, ფიქრობდა იმაზე, ნეტავ ის როგორ არისო, როცა სხვისი



ყვირილი ესმოდა. ნაკლები დღე არც დედამისს დაადგა. დღეს რაც ხდება, ანალოგიური მდგომარეობა იყო მაშინაც. დღესაც არ აჩვენებენ პატიმრებს თავის შვილებს. ზუსტად ეგ სცენებია, არაფერი არ შეცვლილა. 1983 წელს რაც იყო, დღესაც იგივე მეორდება. თუნდაც 26 მაისს როგორც მოექცნენ ჟურნალისტებს, იგივეა, უბრალოდ, ფორმა შეიცვალა. ნაზი ერთი იყო და მოკლეს, დღეს კი ჟურნალისტებს რასაც უკეთებენ, ყველა ხედავს. ამ შემთხვევაში, ის ადამიანი ვარ, რომელიც პოლიტიკაში ერევა და განზე დგომა არ შემიძლია.

***— პოლიტიკური ხართ?***

— აპოლიტიკური ნამდვილად ვერ ვიქნები. ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე და მაქვს ჩემი პოზიცია, რომელსაც ყველგან ვაფიქსირებ. ყველგან ვარ — იპოდრომის დასაცავადაც, კორტების დასაცავადაც, რობიკოს დასაცავადაც. არც ერთ მიტინგს არ ვაკლდები.

***— პოლიტიკა ასე გაინტერესებთ?***

— მსახიობი ხომ ცნობისმოყვარეა. ამიტომ ბევრი კითხვები მაქვს. თუ კითხვა არ დაგებადა, როგორ აღმოჩნდა ხელფეხშეკრული ადამიანი მალაზიის სახურავზე, ან დებილი ხარ, ან შენთვის ყველაფერი სულერთია. როცა ქუჩაში ვიღაცას კლავენ, რა ვთქვა, მე მსახიობი ვარ, მოიცადეთ, გენაცვალე, წავალ სცენაზე დავდგები და იქიდან ვიტყვი ჩემს სათქმელს-მეთქი. უცებ, იქვე, რეაქცია ხომ უნდა მქონდეს? ან ექიმმა როდის თქვას თავისი სათქმელი, ოპერაციის დროს? რა გამოდის, მარტო პოლიტიკოსებმა უნდა ილაპარაკონ და ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს ხმის ამოღების უფლება არ გვაქვს? მაინცდამაინც მსახიობი რატომ გამოიყო, ჩვენც ადამიანები ვართ და ყველას გვაქვს ჩვენი პოზიცია.

***— ნანა, სპექტაკლი მალე დადგით?***

— ესეც კიდევ ერთი საოცრება იყო. ჩვენ სცენა არ გვქონდა. მაია გვიტარებდა რეპეტიციებს ტელეფონით. სპეციალურად გადავედით ბანზე, რომ ბევრი გველაპარაკა. მაია მე რომ მელაპარაკებოდა, მერე ყურმილს გადავცემდი ჩემს დას და ასე ვისწავლეთ ტექსტი. სახლში რემონტი გვქონდა, ისე მოხდა, რომ ობიექტივშიც რემონტი იყო და ვერსად ვერ ვნახეთ ადგილი, რომ სადმე გვეთამაშა. პირველად, იცით, როგორ ვითამაშეთ? რაღაცეები გადავაადგილეთ ორი საათით ადრე, იმიტომ, რომ ლოგიკაში არ ჯდებოდა და მოყოლით ვითამაშეთ სპექტაკლი.

***— არც შემოქმედებითი ჯგუფი გყოლიათ?***

— ჩემმა დამ მოიგონა რაღაცეები და სივრცე შექმნეს. მუსიკა ია საკანდელიძეს ეკუთვნის. ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკას, იამ ჩვენთან ერთად იმუშავა, ერთად ვაწყობდით ფრაზას მუსიკაში, მაგრამ ესეც ერთ რეპეტიციაში გავაკეთეთ. ეს იყო საოცრება. გასვლის წინ მიყვებოდა მაია, რა როგორ უნდა გაგვეკეთებინა. სიბნელეში მე და ჩემი და ერთმანეთს ჩუმად ვეკითხებოდით, ახლა რომელი სცენააო. ტელეფონით რეპეტიციებით დავდგით სპექტაკლი. ვინც თეატრის აზრზეა, იცის, რომ შუქისა და მუსიკის შეყვანას ყველაზე დიდი დრო სჭირდება. ერთი ღამე გვქონდა წინ, რომელიც შუქს მოვანდომეთ და ჩვენთვის არავის ეცალა. როცა „პრაგონი“ გავიარეთ და მივხვდით, რომ რაღაცეები ლოგიკაში არ ჯდებოდა, სცენები გადავაადგილეთ და გადაადგილებაც მოყოლით მოხდა. მოკლედ, ამ სპექტაკლში ყველაფერი ტელეფონით და მოყოლით მოხდა.

***— რა დაჯდა თქვენი სპექტაკლი?***

— 130 ლარი დაგვიჯდა დეკორაცია. სულ ეს არის ჩვენი სპექტაკლის ბიუჯეტი. ირმა საშინლად განიცდიდა. იმ საქმეში, რაც ძალიან მომწონს, ვერასოდეს ფულს ვერ ავიღებ. ახლა, ამ სიტუაციაში, თორემ კარგი ცხოვრება და კარგი ქვეყანა რომ იყოს, როგორ არ ავიღებდი. ეს ისეთი გულით იყო გაკეთებული, ამაში ფულზე ვერ ვილაპარაკებ. თემა იყო ისეთი სათუთი, თითქოს ჩვენი სატკივარი გავაცოცხლეთ. არ ვიცი რა გამოვიდა, რომ მოხვალთ, ნახავთ და იყავით კრიტიკული. მჯერა, რომ ამ ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ბევრი დამთხვევა იყო. წარმოიდგინეთ, ახლა, როცა ჟურნალისტებზე მიდის აქტიურად საუბარი, ზეწოლა, სწორედ მაშინ დაიბადა ჩვენი სპექტაკლი. ამ სპექტაკლს ვუძღვნით ყველა ჟურნალიტს, ვინც თავის პროფესიას ემსხვერპლა, ვინც თავისი სიმართლის გამო შეეწირა.

***— ნანა, ამ როლმა ჟურნალისტობა ხომ არ მოგანდომათ?***

— კი, მინდა. სიამოვნებით ვიქნებოდი ჟურნალისტი. ბავშვობაში სულ მინდოდა ექიმობა, ჟურნალისტობა ან მსახიობობა. ახლა ჟურნალისტი უკვე ველარ ვიქნები, მაგრამ...

***— რატომ, დაგაგვიანდათ?***

— არ ვიცი, ალბათ. მომწონს იქ, სადაც სიმართლეა.

***— ნაზის პერსონაჟი ადვილად მოირგეთ?***

— კი, ჩემია, აშკარად ახლოს არის ჩემს სულთან. ეს ის მომენტია, როცა რაღაც ხელოვნურის გამოგონება, ძიება არ დამჭირდა. ინერციით მივყევი. ჩვენ ხომ რეპეტიციებს ტელეფონით გავდიოდით, ბოლომდე ვერ ვიხარჯებოდით, გვინდოდა მოგვესინჯა, რა და როგორ გავაკეთეთ. ვინც პირველ სალამოზე ნახა, ის ახალი მოსინჯული იყო და დახვეწა სჭირდებოდა.

***— ვის აჩვენეთ პირველად?***

— დაჯილდოების დღეს ვითამაშეთ პირველად. ჯერ იყო დაჯილდოება და მერე სპექტაკლი. ისე მოხდა, რომ არსად გაშუქებულა. ჟურნალისტებმა მარტო დაჯილდოება ნახეს და წავიდნენ. ბევრ მათგანს არ აინტერესებდა, მერე რა იქნებოდა. ნაწილი დარჩა, უმეტესობა კი წავიდა. თუმცა, ვინც დარჩა, ყველა ტიროდა.

***— ასეთი მძიმე საყურებელია?***

— სპექტაკლი დიდი არ არის, მაგრამ არ მოიწყენთ და ნამდვილად მძიმე სანახავია. მეორედ სპექტაკლი ათონელზე ვითამაშეთ, რომ სივრცე გაგვესინჯა რა და როგორ იყო. მაშინ დავპატიჟეთ ჩვენი ახლობლები, რომ ერჩიათ, რა იყო შესასწორებელი. მათგან სურვილები მივიღეთ, რჩევები და 10 დეკემბერს უკვე ნამდვილი პრემიერა გვაქვს. ახლა ფართო საზოგადოებას უნდა წარვუდგინოთ ჩვენი ნამუშევარი. ვისაც არ შეუძლია იყიდოს ბილეთები, მოვიდნენ და მივცემთ. გვინდა, ყველამ ნახოს ეს სპექტაკლი.

***— დავით დოიაშვილსაც უნდოდა ნაზი შამანაურზე სპექტაკლის დადგმა. ამის შესახებ გსმენიათ?***

— კი, გამიგია.

***— ნანა, სანამ ამ როლზე დაგამტკიცებდნენ, ნაზი შამანაურს იცნობდით?***

— ბავშვობიდან გაგონილი მქონდა ეს სახელი და გვარი, მერე თეატრალურშიც მესმოდა, მაგრამ ასე კარგად არ ვიცნობდი. მისმა დღიურების კითხვამ ჩემში სულ სხვა სულიერი საკითხები წამოჭრა. იცით რა სასწაულია? მისი დღიური თაგვებისგან არის შეჭმული. ეს ნამდვილი საოცრებაა. რომ გაჩვენოთ, გაოცდებით. სულ დაღრღნილია.

***— სად იპოვეთ ეს დღიური?***

— მაია ჯაფარიძემ იპოვა სოფელში. ერთხელ რობიკოს დასაცავ მიტინგზე ვიყავით. მაიამ თქვა, თქვენ რატომ ხართ უსაქმოდო. ვუთხარი, თეატრის გახსენება აღარ მინდა, მეგონა თეატრი თანამოაზრეების ჯგუფი იყო, ფული არაფერს წყვეტდა, მაგრამ ეგეც რომ არ არის, აღარაფერი აღარ მინდა-მეთქი. ამის მერე დაგვადგა ობიექტივში და ეს სპექტაკლი დავდგით.

***— ობიექტივში რა სიხშირით ხართ?***

— იქ ჟურნალისტებს მეტყველებას ვასწავლი. კვირაში ერთხელ მიგვყავს კულტურის ერთი საათი, სადაც კულტურაზე ვსაუბრობთ და ნაწყვეტებსაც ვაჩვენებთ ხოლმე. მე უფრო მიწევს იქ სიარული, იმიტომ, რომ ჟურანლისტებთან ვმუშაობ. ჩემი და იშვიათად მოდის.

***— ახლა რომელ თეატრში ხართ?***

— ჩვენ ხომ წამოვედით სოხუმის თეატრიდან. ჩემი და არსად არის, მე კი ლიტერატურულ თეატრში ვარ, რომელიც ძირითადად მუშაობს ქართულ რეპერტუარზე. იცით როგორ საქმეს აკეთებენ? ყველას უნერგავენ, რომ საქართველო შენი სამშობლოა. რაღაც სასწაულებს აკეთებენ. არანაირი დაფინანსება არ აქვთ, შპს-ა, არ არის სახელმწიფო თეატრი. იქ იდგმება ნოდარ დუმბაძე, ვაჟა ფშაველა, რევაზ ინანიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. ეს თეატრი მოზარდმაყურებელთა თეატრს უწევს კონკურენციას.

***— სამომავლოდ რას გეგმავთ?***

— არ ვიცი რამდენად ხმამაღლა სათქმელია, მაგრამ ამ თეატრის მთავარი მსახიობია 32 წლის კოტე მჟავია, რომელსაც გულის გადანერგვა სჭირდება. ჯანდაცვის სამინისტროს მივმართეთ, არ დაგვეხმარა, ივანიშვილს ხმა ვერ მივაწვდინეთ. მისი მეგობრები შევიკრიბეთ და ვთქვით, რომ ჩვენი პატრონი არავინ არის. 11 ათასი შევაგროვეთ ჩვენი ძალებით, მთლიანად 21 ათასი ლარი სჭირდება. ახლა კი საქველმოქმედო კონცერტს ვმართავთ კონსერვატორიაში მისი მეგობრები. რა თანხაც შეგროვდება, დავითვალეთ და გვყოფნის ოპერაციისთვის და საოცრად ბედნიერები ვართ.

***— თეატრი არ გენატრებათ?***

— მენატრება, მაგრამ როცა თეატრში შებოჭილი ხარ და ხმის ამოღების უფლება არ გაქვს, ასეთ თეატრში მუშაობა არ მინდა.

# ბორუსიული დერბი — დორტმუნდი თუ გლადბახი



## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12ნიუკასლი-ჩელსი | 3.5 | 3.4 | 2.05 |
| 03.12ბლექბერნი-სუონსი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 03.12ტოტენჰემი-ბოლტონი | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 03.12სიტი-ნორვიჩი | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 03.12ქპრ-ვესტ ბორმვიჩი | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 03.12უიგანი-არსენალი | 6.0 | 4.0 | 1.53 |
| 03.12ასტონ ვილა-მანჩესტერი | 5.0 | 3.6 | 1.7 |
| 04.12ევერტონი-სტოკი | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 04.12ვულვზი-სანდერლენდი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 05.12ფულემი-ლივერპული | 3.4 | 3.25 | 2.15 |

**ნიუკასლი-ჩელსი**

ნიუკასლი: ***ტრავმ-***ლიონ ბესტი(?), ჩეიკ ტიოტე, სილვიან მარვო; დისკვ-ხონას გუტიერესი

ჩელსი: ***ტრავმ-***მაიკლ ესიენი

**ბლექბერნი-სუონსი**

ბლექბერნი: ***ტრავმ-***მარტინ ოლსონი, კრისტოფერ სამბა, რაიან ნელსენი, ვინსე გრეალ; ***დისკვ-***სტივენ ნზონზი

სუონსი: ***ტრავმ-***ალან ტატე(?)

**ტოტენჰემი-ბოლტონი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***რაფაელ ვან დერ ვაარტი, დანი როუზი(?), ნიკო კრანჩარი, ტომ ჰადელსტოუნი, მაიკლ დაუსონი

ბოლტონი: ***ტრავმ-***ჯო რაილი, რიკარდო გარდნერი, მარკოს ალონსო, სტიუარტ ჰოლდენი, შონ დევისი; ***დისკვ-***დევიდ ვიტერი

**სიტი-ნორვიჩი**

სიტი: ***ტრავმ-***არავინ

ნორვიჩი: ***ტრავმ-***ზაკ უაითბრიდი, ელიოტ ვორდი

**ქპრ-ვესტ ბორმვიჩი**

ქპრ: ***ტრავმ-***ჰეიდარ ჰელგუსონი, შონ რაიტ ფილიპსი, არმანდ ტრაორე(?), დ.ჯ კემბელი, მეტიუ კოლონი, კირონ დაიერი, რობ ჰასლი(?)

ვესტ ბორმვიჩი: ***ტრავმ-***ზოლტან გერა

**უიგანი-არსენალი**

უიგანი: ***ტრავმ-***კრის კირკლანდი; დისკვ-ანტოლინ ალკაზარი

არსენალი: ***ტრავმ-***კირონ გიბსი, ბაქარი სანია, ჯეკ უილშირი

**ასტონ ვილა-მანჩესტერი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ-***ერიკ ლიჩა

მანჩესტერი: ***ტრავმ-***ანდერსონი, დანი უელბეკი, მაიკლ ოუენი, ტომ კლევერლი

**ევერტონი-სტოკი**

ევერტონი: ***ტრავმ-***სილვიან დისტინი(?), ფილ ნევილი(?), ჯეკ როდველი(?), ვიქტორ ანიშებე

სტოკი: ***ტრავმ-***მეტიუ ეტერინგტონი, მამადუ სიდიბე

**ვულვზი-სანდერლენდი**

ვულვზი: ***ტრავმ-***რიჩარდ სტერმანი, კევინ ფოლი; ***დისკვ-***კარლ ანრი

სანდერლენდი: ***ტრავმ-***კრეიგ გორდონი, გონორ უილკჰემი, სიმონ მინოლე, ფრეიზერ კემბელი

**ფულემი-ლივერპული**

ფულემი: ***ტრავმ-***დამიენ დაფი(?), შტეფან კელი(?), ჟდენეკ გრიგერა, ორლანდო სა(?), სიმონ დევისი

ლივერპული: ***ტრავმ-***სტივენ ჯერარდი(?)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 13 | 11 | 2 | 0 | 43:12 | 35 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 30:13 | 30 |
| 3.ტოტენჰემი | 12 | 9 | 1 | 2 | 26:16 | 28 |
| 4.ნიუკასლი | 13 | 7 | 5 | 1 | 19:12 | 26 |
| 5.ჩელსი | 13 | 8 | 1 | 4 | 28:17 | 25 |
| 6.ლივერპული | 13 | 6 | 5 | 2 | 17:12 | 23 |
| 7.არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 26:23 | 23 |
| 8.ა.ვილა | 13 | 3 | 7 | 3 | 16:17 | 16 |
| 9.ევერტონი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:16 | 16 |
| 10.ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:21 | 16 |
| 11.ქპრ | 13 | 4 | 3 | 6 | 14:24 | 15 |
| 12.სტოკი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:23 | 15 |
| 13.სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:16 | 14 |
| 14.ვ.ბრომვიჩი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:20 | 14 |
| 15.ფულემი | 13 | 2 | 6 | 5 | 15:16 | 12 |
| 16.სანდერლენ. | 13 | 2 | 5 | 6 | 15:15 | 11 |
| 17.ვულვზი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:23 | 11 |
| 18.ბოლტონი | 13 | 3 | 0 | 10 | 19:31 | 9 |
| 19.უიგანი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:24 | 9 |
| 20.ბლექბერნი | 13 | 1 | 4 | 8 | 17:30 | 7 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12ხიხონი-რეალი | 12.0 | 6.0 | 1.22 |
| 03.12რასინგი-ვილიარეალი | 2.8 | 3.0 | 2.7 |
| 03.12ბარსელონა-ლევანტე | 1.1 | 8.5 | 26.0 |
| 03.12ვალენსია-ესპანიოლი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 04.12ატლეტიკო-რაიო | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 04.12სოსიედადი-მალაგა | 2.87 | 3.25 | 2.45 |
| 04.12ოსასუნა-ბეტისი | 2.05 | 3.1 | 3.25 |
| 04.12მალიორკა-ბილბაო | 2.7 | 3.2 | 2.6 |
| 04.12გრანადა-სარაგოსა | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 05.12სევილია-ხეტაფე | 1.61 | 3.75 | 5.5 |

**ხიხონი-რეალი**

ხიხონი: ***ტრავმ-***არავინ

რეალი: ***ტრავმ-***კრიშტიანუ რონალდუ(?); ***დისკვ-***ხაბი ალონსო

**რასინგი-ვილიარეალი**

რასინგი: ***ტრავმ-***ფრანსისი, აირო სამპიერო, ლაუტარო აკოსტა, კენედი ბაქიროღლუ

ვილიარეალი: ***ტრავმ-***ხოსე კატალა, ხერარდ ბორდასი(?), ხავიერ გამუნასი, კანი(?), კრისტიან ზაპატა, ჯუზეპე როსი, ნილმარი

**ბარსელონა-ლევანტე**

ბარსელონა: ***ტრავმ-***იბრაჰიმ აფელაი

ლევანტე: ***ტრავმ-***ხუანფრანი; ***დისკვ-***ხუანლუ, ხოსე ბაკერო

**ვალენსია-ესპანიოლი**

ვალენსია: ***ტრავმ-***ვიქტორ რუისი, ვისენტე გუიატა, რიკარდო კოსტა, ევერ ბანეგა, სერხიო კანალესი, ჰედვიგ მადურო

ესპანიოლი: ***ტრავმ-***სერხიო გარსია(?), ხავი ლოპესი(?), ხავი მარკესი(?), ფელიპე მაციონი(?), ხუამ ალბინი

**ატლეტიკო-რაიო**

ატლეტიკო: ***ტრავმ-***დიეგო გოდინი, სილვიო(?), ანტონიო ლოპესი, დიეგო კოსტა; ***დისკვ-***არდა თურანი, ტიბო კურტისი

რაიო: ***ტრავმ-***არავინ; დისკვ-ტიტო

**სოსიედადი-მალაგა**

სოსიედადი: ***ტრავმ-***ხავი პრიეტო, კადამურო, ილარამენდი, ალბერტო დე ლა ბელა, მერკელ ბერგარა

მალაგა: ***ტრავმ-***მარტინ დემიჩელისი(?), ელისეუ(?), ხესუს გამესი, ხიაკინი, ველინგტონი, ხულიო ბაპტისტა; ***დისკვ-***ჟერემი ტულალანი

**ოსასუნა-ბეტისი**

ოსასუნა: ***ტრავმ-***იუკა რაიტალა, მარკ ბერტანი(?), სერხიო, მასუდ შოიე

ბეტისი: ***ტრავმ-***სანტოს ირინეი, ვადილო, ჯეფერსონ მონტერო(?)

**მალიორკა-ბილბაო**

მალიორკა: ***ტრავმ-***გონსალო კასტრო, კევინ ლაკრუსი; ***დისკვ-***პედრო ბიგასი

ბილბაო: ***ტრავმ-***აიტორ ოსიო, კარლოს გუპრეგი, იგორ მარტინესი, ხავიერ კასტილიო

**გრანადა-სარაგოსა**

გრანადა: ***ტრავმ-***მანუელ ლუკენა, მაინცი; ***დისკვ-***ალან რომეო ნიომი

სარაგოსა: ***ტრავმ-***ლეო ფრანკო, პაულო და სილვა, ნობრეგა ბრაულიო; ***დისკვ-***ხავიერ პარედესი, ეფრაინ ხუარესი, ხუან კარლოსი

**სევილია-ხეტაფე**

სევილია: ***ტრავმ-***მარტინ კასერესი

ხეტაფე: ***ტრავმ-***მიგელ მოია, დანიელ გუიზა, პედრო ლეონი, ოსკარ უსტარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 13 | 11 | 1 | 1 | 46:10 | 34 |
| 2.ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 42:7 | 31 |
| 3.ვალენსია | 13 | 8 | 3 | 2 | 21:13 | 27 |
| 4.ლევანტე | 13 | 8 | 2 | 3 | 23:12 | 26 |
| 5.მალაგა | 13 | 7 | 2 | 4 | 17:16 | 23 |
| 6.სევილია | 13 | 5 | 6 | 2 | 13:10 | 21 |
| 7.ოსასუნა | 13 | 4 | 6 | 3 | 16:25 | 18 |
| 8.ესპანიოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 10:15 | 17 |
| 9.ბილბაო | 13 | 4 | 5 | 4 | 19:16 | 17 |
| 10.რაიო | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | 16 |
| 11.ატლეტიკო | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | 16 |
| 12.ვილიარელი | 13 | 3 | 5 | 5 | 11:19 | 14 |
| 13.ბეტისი | 13 | 4 | 1 | 8 | 12:19 | 13 |
| 14.მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 10:17 | 13 |
| 15.ხეტაფე | 13 | 3 | 4 | 6 | 14:19 | 13 |
| 16.ხიხონი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:21 | 12 |
| 17.სოსიედაი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:20 | 12 |
| 18.გრანადა | 12 | 3 | 3 | 6 | 5:12 | 12 |
| 19.სარაგოსა | 13 | 2 | 4 | 7 | 12:27 | 10 |
| 20.რასინგი | 13 | 1 | 6 | 6 | 9:20 | 9 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12ნაპოლი-ლეჩე | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 03.12ინტერი-უდინეზე | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 04.12კატანია-კალიარი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 04.12ფიორენტინა-რომა | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 04.12კიევო-ატალანტა | 2.3 | 3.1 | 3.25 |
| 04.12ბოლონია-სიენა | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 04.12იუვენტუსი-ჩეზენა | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 04.12პარმა-პალერმო | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 05.12ლაციო-ნოვარა | 1.44 | 4.0 | 8.0 |

**ნაპოლი-ლეჩე**

ნაპოლი: ***ტრავმ-***ედსონ კავანი(?), მიგელ ბრიტოსი, მარკო დონადელი

ლეჩე: ***ტრავმ-***ედვარდ ოფერე, ხუან გუარდადო, რუბენ ოლივეირა, გილერმო ჯიაკომაცი, ჯამელ მესბა, სულეიმან დიამუტენი, დავიდ დი მიკელე

**ინტერი-უდინეზე**

ინტერი: ***ტრავმ-***ვალტერ სამუელი, დეიან სტანკოვიჩი(?), მაურო ზარატე(?), ლუსიო, უესლი სნეიდერი, სალი მუნტარი, მაიკონი, დიეგო ფორლანი(?)

უდინეზე: ***ტრავმ-***მაურისო დომიცი, ბარეტო, ანდრეა კოდა(?)

**კატანია-კალიარი**

კატანია: ***ტრავმ-***დავიდ სუაზო, მარიანო ისკო(?)

კალიარი: ***ტრავმ-***დავიდე ბიონდინი, ნენე, დავიდე ასტორი, მუსტაფა ელ კაბირი; დისკვ-რაჯა ნაიგოლანი

**ფიორენტინა-რომა**

ფიორენტინა: ***ტრავმ-***ჰოუსინ ხარჯა, სტევან იოვეტიჩი(?), მატია კასანი, პერ კროლდრუპი; ***დისკვ-***სესარ ნატალი

რომა: ***ტრავმ-***სიმონ კიაერი, პაბლო ოსვალდო, მარკო ბორიელო, ალეანდრო როსი, ნიკოლას ბურდისო, დავიდ პიზარო, ფაბიო ბორინი

**კიევო-ატალანტა**

კიევო: ***ტრავმ-***დავიდე მანდელი(?), მარკო ანდრეოლი(?), ლუკა რიგონი(?), რინალდო კრუსადო, სანტიაგო მორერო, ჯენარო სარდო

ატალანტა: ***ტრავმ-***დანიელე კაპელი, მატეო ბრიგი(?), კრისტიანო დონი, ადრიანო პინტუ; ***დისკვ-***მატიას კელოტო

**ბოლონია-სიენა**

ბოლონია: ***ტრავმ-***ნიკო პულზეტი(?), დიეგო პერესი, სიმონე ლორია; დისკვ-პანაგიოტის კონე

სიენა: ***ტრავმ-***მატია დესტრო, ნიკოლა ბელმონტე, პაოლო გროსი, სიმონე ვერგასოლა; დისკვ-ფრანკო ბრიენზა

**იუვენტუსი-ჩეზენა**

იუვენტუსი: ***ტრავმ-***არავინ

ჩეზენა: ***ტრავმ-***დამინიკ მალონგა, ჯანლუკა კომოტო, დავიდ მეცა, აბდელკადერ გეზალი, იორგ მარტინსენი, ჯუზეპე კოლუჩი; ***დისკვ-***ლუკა ცეცარელი, ნიკოლა რავალია

**პარმა-პალერმო**

პარმა: ***ტრავმ-***გონსალო ბრანდაო, მასიმო გობი(?), ფრანჩესკო მოდესტო(?), სერჯიო ფლოკარი

პალერმო: ***ტრავმ-***ფაბრიციო მიკოლი, იგორ ბუდანი, აბელ ერნანდესი

**ლაციო-ნოვარა**

ლაციო: ***ტრავმ-***კრისტიან ბროკი(?), ფრანჩესკო მათუსალემი, შტეფან მაკინვა, ხავიერ გარიდო, ანდრე დიასი, სტეფანო მაური

ნოვარა: ***ტრავმ-***ალექს პინარდი, პაოლო დელაფიორე, ტაკაუკი მორიმოტო, მასიმო პაცი, ანდრეა ლისუზო; დისკვ-ჯუზეპე გემიტი, რიკარდო მეჯორინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 12 | 7 | 5 | 0 | 22:10 | 26 |
| 2.მილანი | 12 | 7 | 3 | 2 | 27:14 | 24 |
| 3.უდინეზე | 12 | 7 | 3 | 2 | 15:6 | 24 |
| 4.ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| 5.პალერმო | 12 | 6 | 1 | 5 | 16:15 | 19 |
| 6.ნაპოლი | 12 | 4 | 5 | 3 | 17:11 | 17 |
| 7.რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 17 |
| 8.კატანია | 12 | 4 | 5 | 3 | 14:18 | 17 |
| 9.ჯენოა | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 15 |
| 10.პარმა | 12 | 5 | 0 | 7 | 15:20 | 15 |
| 11.კიევო | 12 | 4 | 3 | 5 | 10:16 | 15 |
| 12.სიენა | 12 | 3 | 5 | 4 | 14:11 | 14 |
| 13.ატალანტა | 12 | 5 | 5 | 2 | 16:15 | 14 |
| 14.კალიარი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:13 | 14 |
| 15.ინტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| 16.ფიორენტ. | 12 | 3 | 4 | 5 | 10:11 | 13 |
| 17.ბოლონია | 12 | 3 | 2 | 7 | 10:18 | 11 |
| 18.ნოვარა | 12 | 2 | 4 | 6 | 14:21 | 10 |
| 19.ჩეზენა | 12 | 2 | 3 | 7 | 6:13 | 9 |
| 20.ლეჩე | 12 | 2 | 2 | 8 | 9:19 | 8 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12ვოლფსბურგი-მაინცი | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 03.12კაიზერი-ჰერტა | 2.4 | 3.3 | 2.87 |
| 03.12გლადბახი-დორტმუნდი | 3.6 | 3.5 | 2.0 |
| 03.12ფრაიბურგი-ჰანოვერი | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 03.12ბაიერნი-ვერდერი | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 03.12შტუტგარტი-კიოლნი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 04.12ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 04.12შალკე-აუგსბურგი | 1.36 | 4.75 | 8.0 |

**ვოლფსბურგი-მაინცი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ-***მიხაელ შულცი, ტომას ჰიტშლპერგერი, რობინ კნოხი

მაინცი: ***ტრავმ-***ნიკოლ ნოვესკი, მარსელ რიისე, ადამ ზალაი

**კაიზერი-ჰერტა**

კაიზერი: ***ტრავმ-***ჩადლი არმი, იან შიმუნეკი

ჰერტა: ***ტრავმ-***არავინ

**გლადბახი-დორტმუნდი**

გლადბახი: ***ტრავმ-***ჯოშუა კინგი, იუკი ოტსუ, მრტინ შტრანცლი, ელიას კაჩუნგა

დორტმუნდი: ***ტრავმ-***სვენ ბენდერი, ნევენ სუბოტიჩი

**ფრაიბურგი-ჰანოვერი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ-***იან როზენტალი, ოლივერ ბარტჩი, მენსურ მუიჯა

ჰანოვერი: ***ტრავმ-***ჰენინგ ჰაუერი, კარლიტო, ლეონ ანდრეასენი

**ბაიერნი-ვერდერი**

ბაიერნი: ***ტრავმ-***ბასტიან შვაინშტაიგერი, როუვენ სატელმაიერი, ბრენო

ვერდერი: ***ტრავმ-***კლაუდიო პიზარო, პრედრაგ სტევანოვიჩი, კრისტიან ვანდერი, ტიმ ბოროვსკი, მიკაელ სილვესტრი

**შტუტგარტი-კიოლნი**

შტუტგარტი: ***ტრავმ-***სტეფანო გელოცი, იოან აუდელი, მატია დეპიერი

კიოლნი: ***ტრავმ-***ამარ ჯემალი, ადილ ჩიჩი, მილოიე ნოვაკოვიჩი, ანდრეზიონიო, პეტიტი

**ჰამბურგი-ნიურნბერგი**

ჰამბურგი: ***ტრავმ-***მარკუს ბერგი, რომეო კასტელენი, მლადენ პეტრიჩი, მიროსლავ შტეპანეკი

ნიურნბერგი: ***ტრავმ-***მარკუს მენდლერი, ალბერტ ბუნიაკუ, პატრიკ რაკოვსკი, პერ ნილსონი

**შალკე-აუგსბურგი**

შალკე: ***ტრავმ-***ბენედიქტ ჰოუიდესი, ჯეფერსონ ფარფანი, რალფ ფარმანი, ლევან ყენია, ტიმ ჰოოგლანდი

აუგსბურგი: ***ტრავმ-***შტეფან ჰაინი, სიმონ ჯენტში, ახსელ ბელინჰაუსენი, უვე მორლე, მარსელ დე იონგი, დაუდა ბა, მარსელ ნდიენგი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 14 | 9 | 2 | 3 | 29:9 | 29 |
| 2.გლადბახი | 14 | 9 | 2 | 3 | 23:9 | 29 |
| 3.ბაიერნი | 14 | 9 | 1 | 4 | 34:8 | 28 |
| 4.ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 25:21 | 26 |
| 5.შალკე | 14 | 8 | 1 | 5 | 28:20 | 25 |
| 6.ლევერკუზ. | 14 | 6 | 4 | 4 | 20:19 | 22 |
| 7.შტუტგარტი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:15 | 21 |
| 8.ჰანოვერი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:22 | 20 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 14 | 5 | 3 | 6 | 16:16 | 18 |
| 10.ჰერტა | 14 | 4 | 6 | 4 | 21:22 | 18 |
| 11.კიოლნი | 13 | 5 | 1 | 7 | 20:29 | 16 |
| 12.ვოლფსბურ. | 14 | 5 | 1 | 8 | 19:28 | 16 |
| 13.მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 19:25 | 15 |
| 14.ნიუნბერგი | 14 | 4 | 3 | 7 | 14:24 | 15 |
| 15.ჰამბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 18:26 | 14 |
| 16.კაიზერი | 14 | 3 | 4 | 7 | 10:18 | 13 |
| 17.ფრაიბურგი | 14 | 3 | 3 | 8 | 19:30 | 12 |
| 18.აუგსბურგი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:24 | 11 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12დიჟონი-სოშო | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 03.12აიაჩო-ლილი | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 03.12ევიანი-ვალანსიენი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 03.12ბრესტი-სენტ ეტიენი | 2.4 | 3.0 | 3.2 |
| 03.12მონპელიე-ლორიენი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 03.12ნიცა-რენი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 04.12პსჟ-ოსერი | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 04.12ბორდო-ნანსი | 1.75 | 3.5 | 4.8 |
| 04.12ლიონი-ტულუზა | 1.7 | 3.4 | 5.5 |

**დიჟონი-სოშო**

დიჟონი: ***ტრავმ-***დუასუკე მაცუი

სოშო: ***ტრავმ-***დამიენ პერკისი, სტივენ მოუიოკოლო, ჟერემი ბრეჩე

**აიაჩო-ლილი**

აიაჩო: ***ტრავმ-***ენდი დელო, ქარიმ ელ ჰანი

ლილი: ***ტრავმ-***იდრისა განა გუეიე, მარკო ბასა, ბენუა პედრეტი

**ევიანი-ვალანსიენი**

ევიანი: ***ტრავმ-***სასა კილინსეკი, ფელიპე საადი, ჯონათან მენსა, კევინ ბერიგო

ვალანსიენი: ***ტრავმ-***კარლოს სანჩესი, გაეტან ბონგი, მეტიუ დოსევი, გრეგორი პუიოლი, რაფაელ შმიტცი

**ბრესტი-სენტ ეტიენი**

ბრესტი: ***ტრავმ-***ლარსენ ტურე, დიალო გუდილეი, რიჩარდ სუმა, ტრიპი მაკონდა, ჯონატან აიიტე

სენტ ეტიენი: ***ტრავმ-***იდრის საადი, ჟან პასკალ მინიო, ლიოკ პერინი

**მონპელიე-ლორიენი**

მონპელიე: ***ტრავმ-***ბანგალი კოიტა, მარკო ესტრადა, ნენად ძოძიჩი

ლორიენი: ***ტრავმ-***გრეგორი ბურილონი, სებასტიენ დუბაბრიერი, ბრუნო მანგა, ჯერემი ალიადიერი, სიგამარი დიარა

**ნიცა-რენი**

ნიცა: ***ტრავმ-***დიდიე დიუგარი, ემერსე ფაე

რენი: ***ტრავმ-***კადერ მანგანე, ყიასინ ბრაჰიმი, ჯონ ბოიე, ონეოკაჩი აპამი

**პსჟ-ოსერი**

პსჟ: ***ტრავმ-***სიაკა ტიენე, კლემენტი, ჰორაუ

ოსერი: ***ტრავმ-***ედუარდ სისე, იაია სანოგო, ამადეუ სიდიბე, ადამა კულიბალი

**ბორდო-ნანსი**

ბორდო: ***ტრავმ-***მეტიუ ჩალმე, ვუიადინ სავიჩი, ფლორიან მარანგე, აბდუ ტრაორე

ნანსი: ***ტრავმ-***დისტელ ძოლა

**ლიონი-ტულუზა**

ლიონი: ***ტრავმ-***რემი ვერკუტი, ჯონ მენსა, ჟერემი პიდი

ტულუზა: ***ტრავმ-***ჟან დანიელ აკპა-აკპრო, ეტიენ კაპო, იოან პელე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელი | 15 | 10 | 3 | 2 | 32:17 | 33 |
| 2.პსჟ | 15 | 9 | 3 | 3 | 26:15 | 30 |
| 3.ლილი | 15 | 7 | 7 | 1 | 24:13 | 28 |
| 4.რენი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:19 | 28 |
| 5.ლიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 25:17 | 26 |
| 6.ტულუზა | 15 | 7 | 5 | 3 | 15:12 | 26 |
| 7.ლორიენი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:14 | 23 |
| 8.სტ.ეტიენი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:17 | 23 |
| 9.მარსელი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:15 | 21 |
| 10.კაენი | 15 | 5 | 4 | 6 | 22:23 | 19 |
| 11.სოშო | 15 | 4 | 5 | 6 | 21:30 | 17 |
| 12.დიჟონი | 15 | 5 | 2 | 8 | 17:29 | 17 |
| 13.ევიანი | 15 | 3 | 7 | 5 | 19:22 | 16 |
| 14.ბორდო | 15 | 3 | 7 | 5 | 17:21 | 16 |
| 15.ბრესტი | 15 | 2 | 9 | 4 | 15:16 | 15 |
| 16.ოსერი | 15 | 3 | 6 | 6 | 20:23 | 15 |
| 17.ვალანს. | 15 | 3 | 5 | 7 | 15:17 | 14 |
| 18.ნანსი | 15 | 3 | 5 | 7 | 12:18 | 14 |
| 19.ნიცა | 15 | 2 | 5 | 8 | 12:17 | 11 |
| 20.აიაჩო | 15 | 1 | 5 | 9 | 13:31 | 8 |

## ორშაბათი 5 დეკემბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 ჩვენი სამართალი 17.00 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 სერ. **"ნიკიტა"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი **"ნორმალური ცხოვრება"** (18) 03.25 მხ. ფილმი **"ჩრდილების ქვეყანა"** (ე. ჰოპკინსი)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 სერ.**"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"შიმშილი"** 21.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ბოფა"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ.**"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ.**"სახლი მეზობლად"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ.**"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 მხ. ფილმი 23.50 მუს. ლიგა 01.15 მხ.ფ.**"ბრილიანტის ამბავი"** (12) (ბ. ჰოვარდი) 03.25 მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "შეჰერაზადა" 08.55 სერ.**"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"მერლინი"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"გაზაფხული გაღმა"** 13.30 კონცერტი – ანს. "დიდგორი" 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 სპექტაკლი **"შიში"** 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ლუარსაბ თათქარიძე"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "სამშობლოს გარდა არაფერი მაკლდა" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ჰამლეტ გონაშვილი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 6 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. **"ნიკიტა"** 17.00 მედინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 **კალათბურთი**. ევროჩელენჯი. არმია- ბეშიქთაში 21.00 სერ. **"ნიკიტა"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 01.50 კავკასუს ლაივი 02.50 მხ. ფილმი **"მედგარი გული"** (12) (ა. ჯოლი) 04.50 მხ. ფილმი **"ნორმალური ცხოვრება"** (18)

~~08.00, 00.00~~ მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები"** 01.00 მხ. ფილმი **"ნადირობა წითელ ოქტომბერზე"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ.**"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ.**"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.40 **ჩემპიონთა ლიგა**. 01.40 შუა დღე 03.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.30 პატრული 04.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 ბიზნეს ლიდერი 00.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.50 მხ. ფილმი **"სამუშაო"** (15) (დ. ჰანა) 03.50 მხ. ფილმი **"ნედ კელი"** (12) (ჰ. ლეჯერი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"მერლინი"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

